ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

თამარ ბეგდარაშვილი

საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობები და პერსპექტივები საერთაშორისო ვაჭრობაში

სამაგისტრო პროგრამა: ეკონომიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: შოთა ვეშაპიძე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის თემას წარმოადგენს საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობებისა და პერსპექტივების განხილვა საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელიც დღეს საკმაოდ აქტუალურია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. საქართველოს თავისი ისტორიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, საშუალება ეძლევა აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში და მიაღწიოს ეკონომიკურ წინსვლას. ყოველივე ამისათვის აუცილებელია განავითაროს საერთაშორისო ვაჭრობა; გაზარდოს წარმოება და იგი მაქსიმალურად მიუსადაგოს ევროპულ სტანდარტებს.

ნაშრომის პირველ თავში საუბარია ქვეყნის მიზანზე – გახდეს საერთაშორისო ვაჭრობის აქტიური მონაწილე, რომლის ფარგლებშიც განხილულია საქართველოს მიმდინარე სავაჭრო ურთიერთობები და პოლიტიკა. პროდუქციის ექსპორტის ზრდა რეალური მიზანია, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან სწორ დაგეგმვასა და შესაბამის ხელშეწყობას მოითხოვს. ამავე თავში განხილულია საერთაშორისო ვაჭრობის დადებითი ასპექტები და ყურადღება გამახვიულებულია საქართველოს როლზე თანამედროვე გლობალურ სივრცეში.

მეორე თავში წარმოდგენილია საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის ანალიზი ძირითადი სასაქონლო ჯგუფებისა და სავაჭრო პარტნიორების მიხედვით. ასევე განხილულია საქართველოს თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ამ მხრივ აღებული ვალდებულებები და პერსპექტივები. ნაშრომში ასევე საუბარია თანამედროვე გლობალური პროცესების გავლენაზე საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე, არჩეულ საექსპორტო პოლიტიკაზე და მეტი თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილია საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

ნაშრომის მესამე თავში კიდევ უფრო დეტალურადაა საუბარი იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დგას ქვეყანა საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვის შემდეგ, კერძოდ, საუბარია საქართვლოს კონკურენტუნარიანობაზე საერთაშორისო ბაზარზე, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ფორმირების პრობლემებზე საქართველო - ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ფონზე (ხარისხის უზრუნველყოფა, პროდუქციის არაერთგვაროვნება და სხვა) და ბოლოს განხილულია ექსპორტის პრიორიტეტული მიმართულებები, ძირითადი საექსპორტო პროდუქციის გადიდების რეალური შესაძლებლობები და ამ მხრივ, ახალი დარგების განვითარების პერსპექტივები.

ნაშრომის ბოლოს დასკვნის სახით წარმოდგენილია კვლევის ერთგვარი შეჯამება, მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები საგარეო სავაჭრო ბალანსის გასაუმჯობესებლად და ვასკვნით, რომ საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე საკმაოდ მაღალი პოტენციალი გააჩნია, თუმცა აღნიშნული რეალობა გვარწმუნებს, რომ ქვეყნის შიგნით არსებული რესურების მხოლოდ მცირე ნაწილია სრულყოფილად

ათვისებული, რაც ქვეყნის განვითარებას და საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიურ ჩართულობას მნიშვნელოვნად აფერხებს

Tamar Begdarashvili

Export opportunities and potential of Georgia in international trade

Annotation

The topic of the master's thesis is to discuss Georgia's export opportunities and perspectives in international trade, which is quite relevant today as a theoretical and practical point of view. Because of its historical and geopolitical location, Georgia has an opportunity to actively engage in world integration processes and achieve economic progress. For all this, it is necessary to develop international trade and increase production in line with European standards.

The first chapter deals with the main economic goal of Georgia - to become an active participant in international trade and it discusses Georgia's current trade relations and policies. Increase in the volume of international trade and export are a real goal that requires proper planning and support from the state. This part of the thesis also discusses the positive aspects of international trade and focuses on Georgia's role in the modern global space.

The second chapter of the paper presents the analysis Georgia's trade (export and import datas) according to the main commodity groups and trade partners, also, Georgia's cooperation with international organizations, commitments and perspectives taken in this regard. The paper also deals with the impact of modern global processes on foreign trade, selected export policy and for more visibility thesis contains foreign trade statistics and diagrams.

The third chapter of the thesis is further detailed about the challenges facing the country after the inclusion in international trade that contains challenges due to Georgia-EU Association Agreement (Quality assurance, product non-uniformity and ect.) and Georgia's competitiveness in the international market. In addition, the priority directions of export are discussed as there are real possibilities of enlarging the main export products and prospects for the development of new fields in this regard.

At the end of the work, there is a summary of the research presented in the form of conclusions and some recommendations to improve foreign trade balance turnover. Actually, Georgia has a very high potential on the international arena, but unfortunately only some of the resources within the country are utilized and it significantly hinders the development of the country and its active involvement in international trade.

შინაარსი

შესავალი 5

საქართველო თანამედროვე გლობალურ სივრცეში 8

ვაჭრობა გლობალიზაციის პირობებში 8

საქართველოს მიმდინარე სავაჭრო ურთიერთობების მიმოხილვა 12

საქართველოს თანამედროვე საექსპორტო პოტენციალი 20

საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის ანალიზი ძირითადი სასაქონლო ჯგუფების და სავაჭრო პარტნიორების მიხედვით 20

საქართველოს პარტნიორობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან 45

საქართველოს საექსპორტო პოტერნციალის ამაღლების თანამედროვე გამოწვევები 54

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ფორმირების პრობლემები საქართველო - ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ფონზე 54

საქართველოს ძირითადი საექსპოეტო პროდუქციის მოცულობის გადიდების შესაძლებლობები 60

საქართველოს კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე 71

დასკვნა 78

გამოყენებული ლიტერატურა 80

შესავალი

თემის აქტუალობა: თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ვაჭრობას უმნიშვნელოვანესი როლი უკავია საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვაში. მას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პოლიტიკის ფორმირების პროცესშიც.

საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობა და საქონელბრუნვის ზრდა საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. საერთაშორისო ვაჭრობის დადებით შედეგებად შეიძლება მივიჩნიოთ საქონლის მრავალფეროვნების ზრდა, კონკურენციის ზრდა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ინოვაციური მიდგომების განვითარებას და აქვე უნდა ვახსენოთ მასშტაბის ეფექტი, რაც გულისხმობს საქონლის წარმოებას შემცირებული დანახარჯებით, როცა წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად მცირდება საბაზრო ფასებიც. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით მოსალოდნელია ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდა, ფართოვდება ადგილობრივი წარმოება, ფორმირდება ჯანსაღი და კონკურენტური გარემო და რაც ყველაზე მთავარია, ეს ყველაფერი აჩქარებს მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრირების პროცესს.

საბოლოო ჯამში მთელი ეს შედეგები განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ხოლო რაც უფრო მაღალია ეს უკანასკნელი, მით უფრო აქტიურია საერთაშორისო ვაჭრობა, ანუ მთელი ეს ქმედებათა ჯაჭვი ურთიერთგანმაპირობებელია და მიმართულია გაზარდოს ქვეყნის შემოსავლები, აამაღლოს ქვეყნის კეთილდღეობა და სამომავლოდ გაზარდოს დასაქმების დონე.

ბოლო პერიოდში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა საგრძნობლად გაიზარდა - ქვეყანა აქტიურად დადგა მსოფლიო ეკონომიკური სივრცეში ინტეგრირების გზაზე. ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. საქართველოს მთავრობამ განახორციელა სატარიფო პოლიტიკა, ასევე გარკვეული რეფორმები გაატარა ტექნიკური რეგულირების სფეროშიც, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაშიც იგულისხმება გამარტივებული საგარეო ვაჭრობის რეჟიმი და საბაჟო პროცედურები, დაბალი საიმპორტო ტარიფები და მინიმალური არასატარიფო რეგულირებები.

მიზნები: მოცემული ნაშრომის მიზანია, დაგვანახვოს მთელი რიგი შესაძლებლობები რომელიც გააჩნია საქართველოს ვაჭრობის მხრივ საერთაშორისო ასპარესზე და ხაზი გაუსვას იმ პერსპექტივებს რომლებიც რეალურად აქვს მას წინ წაწევის კუთხით.

ამ მხრივ აუცილებლად განვიხილავთ ქვეყნის პარტნიორობას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ყურადღებას გავამახვილებთ ევროკავშირთან დადებულ ასოცირების ხელშეკრულებაზე (2014 წლის 27 ივნისი) და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა). ნაშრომში წარმოდგენილი იქნება საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის ანალიზი, რომელიც ჩაშლილი იქნება სასაქონლო ჯგუფებისა და სავაჭრო პარტნიორების მიხედვით. აღნიშნულის საფუძველზე განვიხილავთ ახალ იდეებსა და ხედვებს ვაჭრობის განვითარების კუთხით და გავაკეთებთ ანალიზს საქართველოს კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით საერთაშორისო ბაზარზე.

გარდა ზემოჩამოთვილისა, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ისტორიულ ჭრილში განხორციელებული ყველა ცვლილების ძირეული განხილვა/შესწავლა და ამასთანავე წარსული და უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება.

დასმული ამოცანების შინაარსი:

- საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობის ისტორიული მიმოხილვა;
- ექსპორტისა და იმპორტის სასაქონლო სტრუქტურისა და გეოგრაფიული მიმართულებების თავისებურებების გამოვლენა;
- საქართველო-მსოფლიო სავაჭრო კავშირების დონის დადგენა;
- ეკონომიკური პოლიტიკის გავლენა საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებზე;
- საგარეო ვაჭრობის პრობლემების გამომწვევი მიზეზების დადგენა;
- შევისწავლოთ საქართველოს თანამედროვე საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და ამის საფუძველზე გამოვავლინოთ ეროვნული პროდუქციის საგარეო ბაზრებზე შეღწევისა და დამკვიდრების პერსპექტივები;

- საქართველოს კონკურენტუნარიანობის განხილვა და მათზე დაყრდნობით პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;

საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება: გამოკვლევის საგანია საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობა და მასთან დაკავშირებული სტატისტიკის ძირეული შესწავლა. განიხილება წარმოებისას გამოყენებული მეთოდოლოგია და პრაქტიკა და მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო მონაცემების სტატისტიკური აღრიცხვის სისტემა, ვაჭრობაში ჩამოყალიბებული ტენდენციები და მათი რაოდენობრივი კანონზომიერებები.

კვლევისთვის გამოყენებული მეთოდი/მეთოდები: ნაშრომის <u>თეორიულ</u> საფუძვლად გამოყენებულია სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული ქართველი და უცხოელი მეცნიერის შრომები და მათ მიერ ჩატარებული გამოკვლევები, საერთაშორისო ხელშეკრულების მასალები, ინტერნეტის საშუალებით მოპოვებული პუბლიკაციები და სტატისტიკური მონაცემები.

რაც შეეხება <u>მეთოდოლოგიურ</u> საფუძვლებს, ეს უკანასკნელი ეფუძვნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული და დამუშავებულ მონაცემებს. მათზე დაყრდნობით ჩატარებულია ანალიტიკური სამუშაოები და მიღებული შედეგების უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის მოცემულია მაჩვენებელთა ურთიერთშედარებისა და დინამიკის გრაფიკები.

საქართველო თანამედროვე გლობალურ სივრცეში

ვაჭრობა გლობალიზაციის პირობებში

საქართველო ამ ეტაპზე უკვე აქტიურად არის ჩართული მსოფლიო თანამედროვე გლობალურ პროცესებში, სადაც მნიშვნელოვანია მისი თითოეული მონაწილის წვლილი და გატარებული პოლიტიკა, რაც საერთო ჯამში ჰქმნის ზოგად გლობალურ კლიმატს. მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისა და ბიზნესის სექტორის განვითარების მომავალი სტრატეგია მჭიდროდაა დაკავშირებული გლობალურ პროცესებთან. მიმდინარე დემოკრატიული პროცესები თავისთავად ზემოქმედებს საქართველოს პოლიტიკური სივრცის მოდერნიზაციაზე და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიო გლობალური პროსეცების შედარებით ახალი მონაწილეა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სხვა წამყვანი ქვეყნების გამოცდილების სწორი შეფასება და გაზიარება.

ბოლო პერიოდში საქართველოს როლის საერთაშორისო დონეზე განხილვისას აქტუალურად განიხილავენ გლობალიზიის როლსაც, რომელიც ნელ-ნელა მოიცავს დღევანდელი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს. გლობალური ეკონომიკური თვალსაზრისით, თანამედროვე სისტემის ფორმირება ღია საბაზრო ეკონომიკასა და დემოკრატიის პრინციპებს ეფუძნება. აღნიშნული პროცესის შედეგად მსოფლიო ეკონომიკა სულ უფრო და უფრო იჭრება ეროვნულ ეკონომიკაში და მისი განვითარების ნორმებსა და სტანდარტებს განსაზღვრავს.

გლობალიზაციის პროცესი ყველასთვის დადებითი შედეგის მომტანი რომ აღმოჩნდეს, აუცილებელია არსებობდეს საერთაშორისო საჯარო ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ გლობალური გავლენის მქონე საკითხების მოგვარებას. სწორედ ამ საკითხებზე სამუშაოდ შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაციები. გაეროს დაეკისრა გლობალურ პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნვა, საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებს, უპირველეს ყოვლისა კი საერთაშორისო სავალუტო ფონდს, გლობალური ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება.

საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო სერიოზული სტრუქტურული გარდაქმნები, ქვეყანამ უარი თქვა საბჭოურ ეკონომიკაზე და გადავიდა საბაზრო ეკონომიკაზე, რამაც ის მსფლიო ეკონომიკის აქტიური მონაწილე გახადა. ქვეყანამ დაიწყო სამამულო წარმოების ზრდა და ნელ-ნელა ჩაერთო საერთაშორისო

ვაჭრობაში. აქედან მოყოლებული საქართველოს ეკონომიკური განვითარება მიმდინარეობს გლობალურ გარემოში, მსოფლიო ბაზრის კანონზომიერებათა მკაფიო ზემოქმედებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გლობალიზაციის პროცესში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თუ ეკონომიკური განვითარების რომელ მოდელს ან ორიენტაციას აირჩევს ქვეყანა. საჭიროა, შეირჩეს პოლიტიკა, რომელსაც თან ერთვის სწორად შერჩეული რეფორმები, რათა ქვეყანამ მაქსიმალურად გამოიყენოს მის ხელთ არსებული სრული პოტენციალი.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ქვეყნები არ არიან ბოლომდე თავისუფალნი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. თანამედროვე გლობალურ სივრცეში ჩართულობა გულისხმობს სხვადასხვა ეკონომიკური ხელშეკრულებების დადებას და ორგანიზაციების წევრობას, რომელთაც თავიანთი მოქმედების წესები და პრინციპები გააჩნიათ.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი და შესაბამისად, ვმო-ს წევრ ქვეყნებთან (164 ქვეყანა) სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" (MFN – "Most-Favored-Nation") საფუძველზე. შეთანხმების თანახმად, თითოეული წევრის მიერ შემოღებული უნდა იყოს ტექნიკური რეგულაციები იმგვარად, რომ მათ არ შექმნან საერთაშორისო ვაჭრობაში ზედმეტი დაბრკოლებები და ხელშემშლელი ფაქტორები, და ამასთანავე ხელი შეუწყონ ჰარმონიული გლობალური კლიმატის ჩამოყალიბებას.

საქართველოს მნიშვნელოვნება გლობალურ საერთაშორისო ვაჭრობაში შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას იმითაც, რომ ეს უკანასკნელი მიჩნეულია სატრანზიტო ქვეყნად და თავისი გეო-პოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე მოიხსენიება როგორც ხიდი დასავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. ასეთი მდებარეობა პოტენციალს სძენს ქვეყანას და აძლევს საშუალებას რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენების შემთხვევაში აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო ვაჭრობაში და მოახდინოს წარმატებული პოზიციონირება. ქვეყანაში ტრანზიტის განვითარების შესაძლებლობას ხელს უწყობს მოწესრიგებულ საგზაო ინფრასტრუქტურა და ბოლო პერიოდში გამარტივებული საბაჟო პროცედურები, გაიხსნა საქონლისა და მომსახურების საშინაო ბაზარი, შეიქმნა უცხოური კაპიტალის შემოსვლისათვის ხელსაყრელი პირობები. თუმცაღა, საქრთველოს სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობისა და

მდგრადობის უზრუნველყოფა საკმაოდ დიდ ძალისხმევასაც მოითხოვს, რადგან აუცილებელია მოდერნიზირებული საკომუნიკაციო სისტემების დანერგვა, დახვეწილი სატარიფო, სამართლებრივი და საბანკო სისტემების შემუშავება, უნდა განვითარდეს შემდეგი დარგები: ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაცია, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და ა.შ. ამასთანავე, საქართველოს გეოეკონომიკურ პოზიციონირებაზე გავლენას ახდენენ: შიდარეგიონული დონის მოთამაშეები (სომხეთი, აზერბაიჯანი); გარერეგიონული დონის შემთხვევაში - რუსეთი, თურქეთი, ირანი, შუაზიური ქვეყნები; და ისეთი საერთაშორისო დონის მოთამაშეები, როგორებიც არიან ევროკავშირის ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი. საბოლოო ჯამში, გარდა რიგი შესაძლებლობებისა, დიდი პასუხისმგებლობაცაა - ქვეყანამ დაიკავოს საკუთარი გეოეკონომიკური სტრატეგიის შესაფერისი ადგილი მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში.

როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს სატრანზიტო მნიშვნელობაზე და ამ მხრივს არსებული შესაძლებლობების გამოყენებაზე, აუცილებელია, ვახსენოთ შემდეგი მნიშვნელოვანი პროექტები: განხორციელდა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის პროგრამა, საფუძველი ჩაეყარა ტრანსკავკასიური ნავთობსადენის - „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა“ და „ბაქო-თბილისი-არზრუმის“ გაზსადენის ამოქმედებას, „ბისეკის“ პროექტის განხორციელებას, თანამედროვე „აბრეშუმის გზის“ (ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქო) სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას და ა.შ. ეს პროექტები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებასა და გარე სამყაროსთან საქართველოს ეკონომიკური და კულტურული თანა-მშრომლობის გაღრმავებას. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში ”ახალი აბრეშუმის გზის” სატრანზიტო დერეფანში ნაკადები მნიშვნელოვნად გააქტიურდა, ამ ეტაპზე მაინც არ არის ათვისებული აღნიშნული დერეფნის სრული შესაძლებლობები, რის გამომწვევ მიზეზებზეც შემდეგ თავებში დეტალურად ვისაუბრებთ.

როდესაც ქვეყანა აქტიურად ერთვება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში მისი ეკონომიკა გარკვეულწილად დამოკიდებულიც კი ხდება მისი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობასა და სტაბილურობაზე. მაშინ, რა უბიძგებს ქვეყანას აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო ვაჭრობაში და დაამყაროს ეკონომიკური ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან? ამ კითხვაზე მრავალი პასუხი არსებობს, რომელთაგან

ყველაზე საინტერესო და ხელსაყრელი შედეგების მომტანი ჩვენი ქვეყნის ეკონონიკისთვის შეიძლება აღმოჩნდეს შემდეგნი:

<u>გაყიდვების დივერსიფიკაცია</u> - რაც უფრო მეტი ბაზარი აქვს ათვისებული კონკრეტულ ფირმასა თუ ქვეყანას მით უფრო უსაფრთხოა მისი ეკონომიკური მდგრადობა და შემოსავლიანობა. მაგალითისთვის 2006 წელს რუსეთის მხრიდან ქართულის ღვინის ემბარგომ 2007 წელს გამოიწვია ღვინის ექსპორტის 74%-ით ვარდნა. სწორედ ამ მოვლენის შემდეგ დაიწყო ჩვენმა ქვეყანამ საერთაშორისო არეალზე ეკონომიკური პარტნიორების აქტიური ძებნა და ურთიერთობების გამყარება. რეორიენტქაცია გაკეთდა ყაზახეთის, უკრაინის და ბელორუსიის ბაზრებზე, რამაც ფაქტობრივად გადაარჩინა ქართული მეღვინეობა მომავალში.

<u>საერთაშორისო გამოცდილების შეძენა/გაზიარება</u> - სხვა ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობა და უცხოური გამოცდილების გაზიარება ყოველთვის დადებითად აისახება კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობებზე და სტრატეგიულ დაგეგმარებაზე. მძაფრ კონკურენტულ ბრძოლაში მიღებული გამოცდილება ქვეყანას იძულებულს ხდის აქტიურად იმუშაოს ახალ ტექნოლოგიებზე, გაზარდოს მასშტაბის ეფექტი და უზრუნველყოს მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდება მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგებში.

<u>მაღალი ფასები</u> - საექსპორტო ბაზრებზე შიდა ბაზართან შედარებით უფრო მომხიბვლელი ფასებია, რაც უბიძგებს ქვეყნებს იყვნენ ექსპორტზე ორიენტირებულნი და საერთაშორისო არეალზე ეძიონ პარტნიორები ხელსაყრელი სავაჭრო პირობებით, რათა მათი საქონელი იყოს კონკურენტუნარიანი და მიიღონ მაქსიმალური სარგებელი ექსპორტის შესაძლებლობებისგან.

<u>სპეციალიზაცია</u> - საერთაშორისო ვაჭრობის დახმარებით ქვეყანას ეძლევა საშუალება ისარგებლოს შედარებითი უპირატესობით და დასპეციალიზდეს იმ საქონლის წარმოებაზე, რომელიც მისთვის ნაკლებ დანახარჯებთან ასოცირდება. ამ მხრივ მსოფლიოში ორი ცნობილი მაგალითის მოყვანა შეიძლება, ამერიკა აწარმოებს კაპიტალტევად საქონელს, ხოლო ჩინეთი - შრომატევადს, რაც მომგებიანი პოზიციაა მათთვის როგორც მწარმოებლისთვის ასევე დანარჩენი მსოფლიოსთვის, რომელსაც საგრძნობლად უიაფდება საქონელი.

<u>დასაქმების ზრდა</u> - მსოფლიო ვაჭრობა ყველა ზემო ჩამოთვლილთან ერთად ხელს უწყობს დასაქმების დონის ზრდას, რაც განპირობებულია წარმოების მატებით. საბოლოო ჯამში ყველაფერი ეკონომიკის ზრდისა და საერთო კეთილდღეობის ამაღლებისკენაა მიმართული.

საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ჩამოთვლილი სარგებლის მისაღებად აუცილებელია ქვეყანამ გაატაროს გარკვეული რეფორმები, რომელთა წარმატებები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე - რამდენად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკას საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე მონაწილეობისათვის. საერთაშორისო ვაჭრობა ცალსახად დადებით ასახვას ჰპოვებს რაციონალური ფასების დადგენის პროცესში, აფართოვებს ბაზარს და ზრდის საზღვარგარეთული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას.

საქართველოს მიმდინარე სავაჭრო ურთიერთობების მიმოხილვა

საქართველოს დამოუკიდებლობის მიღებიდან უკვე ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა და დღესაც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნად არის მიჩნეული. გარდა ამისა, ქვეყანამ დღემდე ვერ შეძლო გამხდარიყო ექსპორტზე ორიენტირებული, და ამ კუთხის მხოლოდ უმნიშვნელო ძვრები შეინიშნება. ქვეყნისათვის ამ ეტაპზე სასიცოცხლოდ მნიშვნელობანია საგარეო ვაჭრობის მიმართულებით აქტიური მუშაობა და შესაბამისი რეფორმების გატარება, რადგან როგორც ჯ. საკსი ამბობს: "მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური წარმატება დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობაზე. ჯერ არც ერთ ქვეყანას არ შეუქმნია ჯანსაღი ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკური სისტემებისგან დამოუკიდებლად."

გარდმავალი ეკონომიკის ქვეყნებში საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ პრინციპს წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების მაქსიმალური ლიბერალიზაცია, თუმცა ღია ეკონომიკის პრინციპიც გარკვეულწილად საჭიროებს შესაბამის რეგულირებას, ადგილობრივი წარმოების დაცვის მიზნით. საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის ასამაღლებლად აუცილებელია ქვეყნის საესქპორტო შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება. ამისათვის საჭიროა ქვეყანაში არსებული ბუნებერივი,

მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, საექსპორტო პროდუქციის როგორც რაოდენობის, ასევე ხარისხის ზრდა, მეცნიერული, საწარმოო და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, ახალი სავაჭრო კავშირების დამყარება, რათა საწყის ეტაპზე ქვეყნის პროდუქციამ გარკვეული პოზიციები დაიკავოს საერთაშორისო ბაზარზე, შემდგომ კი მაქსიმალურად აითვისოს ახალი შესაძლებლობები.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის რეფორმები საწყის ეტაპზე ეხება სავაჭრო ტარიფების შემცირებას და კვოტების გაუქმებას ან ვაჭრობაში კვოტებიდან ტარიფებზე გადასვლის რეგულირების საკითხს. ვაჭრობის ლიბერალიზაცია ხელს უწყობს საქონლის ექსპორტირებას საერთაშორისო ფასებით, კონკურენციის უპირატესობის მოპოვებას და ქვეყანა იწყებს წარმოების სპეციალიზაციას (აწარმოოს ის საქონელი, რომრლშიც შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია). ქვეყნების საბოლოო მიზანს კი წარმოადგენს უცხოური კონკურენციისადმი არსებული ბარიერების შემცირების გზით შექმნას ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობა და მიიღოს ეროვნული პროდუქციისათვის ხელსაყრელი პირობები უცხოურ ბაზრებზე.

თუ განვიხილავთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებს ისტორიულ ჭრილში, აშკარაა რომ ქვეყანამ მთლანობაში შესამჩნევი პროგრესი განიცადა. ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყოს რეგიონის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებასა და განმტკიცებას, რათა გაჯანსაღდეს საერთო ინტერესებზე დამყარებული პოლიტიკური თანამშრომლობა, გამყარდეს უსაფრთხოება და სტაბილურობა და ამასთანავე ხელი შეეწყოს სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას.

აქვე გვერდს ვერ ავუვლით ჩვენი მეზობელი ქვეყნების ხსენებას, რაც განპირობებულია არა მხოლოდ ძველი სავაჭრო ურთიერთობების ტრადიციით, არამედ იმითაც, რომ მათთან ვაჭრობა ბევრად ნაკლებ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს და შედარებით მაღალი შემოსავლების მომტანია. ამ შესაძლებლობის გამოყენება ეკონომიკის შემდგომი განვითარების საშუალებას იძლევა. მრავალი წლის განმავლობაში ეს ქვეყნები წარმოადგენდნენ ქართული პროდუქციის ძირითადი გასაღების ბაზარს, მათ ბაზრებზე ქართული პროდუქცია უკვე წლებია მაღალი მოთხოვნილებით სარგებლობს, რაც

ცალსახად არა მარტო ხარისხის, არამედ ტერიტორიული სიახლოვის გამოცაა განპირობებული.

ამ ეტაპზე საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან - **აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან** მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებას, პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და კულტურის სფეროებში. აზერბაიჯანთან თანამშრომლობას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ენერგეტიკა წარმოადგენს ორი ქვეყნის თანამშრომლობის უმთავრეს მიმართულებას. ამასთანავე, საქართველო ენერგორესურსების არა მხოლოდ მომხმარებელი, არამედ ასევე სატრანზიტო ქვეყანაცაა და აზერბაიჯანთან ერთად განსაკუთრებულ როლს ასრულებს ევროპის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ასევე ცდილობს, მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას **თურქეთის რესპუბლიკასთან**, რომელიც საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს. რეგიონული პარტნიორობის განვითარების კონტექსტში კი, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავება საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის სამმხრივ ფორმატში „სამხრეთის დერეფნისა“ და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტების განხორციელება, რომელიც რეგიონული თანამშრომლობის წარმატებული მექანიზმია. **სომხეთის რესპუბლიკასთან** მიმართებით, ქვეყნის სტრატეგიაა განავითაროს მასთან არსებული ეკონომიკური კავშირი და შეინარჩუნოს კეთილმეზობლური ურთიერთობა.

ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია მჭიდრო პარტნიორობის გაგრძელება, შავი ზღვის რეგიონში საქართველოს მოსაზღვრე **ბულგარეთის რესპუბლიკასთან და რუმინეთთან.** მათთან ურთიერთობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სატრანსპორტო-ენერგეტიკული სატრანზიტო დერეფნის განვითარებასა და ერთობლივი ეკონომიკური და საინვესტიციო პროექტების განხორციელებას.[1]

საქართველო მიისწრაფვის, რეგიონის ქვეყნებთან - **უკრაინასთან და მოლდოვის** რესპუბლიკასთან მეგობრული და ურთიერთსასარგებლო, მჭიდრო თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს ისინი საერთო გამოწვევების წინაშე

[1] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ურთიერთობები რეგიონის ქვეყნებთან.

დგანან რაც უბიძგებს მათ განავითარონ პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები და ითანამშრომლონ სავაჭრო კუთხით.

რაც შეეხება ჩვენს კიდევ ერთ მეზობელ ქვეყანას - **რუსეთს**, აქ სიტუაცია ბევრად უფრო რთული და კომპლექსურია, ვიდრე ზემოჩამოთვლილთან. მასთან საგარეო ვაჭრობა უკიდურესად პოლიტიზებული ხასიათს ატარებს და ურთიერთობა ყალიბდება არა ეკონომიკური ფაქტორების, არამედ პოლიტიკური მიზანშეწონილობის მიხედვით. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკისათვის რუსეთის ბაზარი ყოველთვის იყო და იქნება საექსპორტო პოტენციალისათვ[2]ის ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის მატარებელი.

ამ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკურ მიზანს წარმოადგენს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება, ხოლო საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის მის მიზანს წარმოადგენს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, ასევე პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარება.. ეს ყველაფერი მიღწევადია ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირების და ქვეყანაში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ხელშეწყობით. საქართველო, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში, აქტიურად აწარმოებდა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ მან მემკვიდრეობით მიიღო დარღვეული ეკონომიკური სისტემა საბაზრო ურთიერთობების სრული გამოუცდელობით და ასეთივე საკანონმდებლო ბაზით, რამაც უამრავი პრობლემა შეუქმნა ქვეყანას. აუცილებელი შეიქმნა ამ მიმართულებით კონკრეტული რეფორმების გატარება, რათა ქვეყანა კიდევ უფრო აქტიურად გასულიყო საერთაშორისო ასპარეზზე.

ექსპორტის წახალისების მიზნით საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. გამომდინარე იქიდან, რომ 1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველო იყენებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის

[2] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ორმხრივი ურთიერთობები - ურთიერთობები რეგიონის ქვეყნებთან

პრინციპით, ექსპორტი საქართველოდან დღგ-თი არ იბეგრება.[3] გარდა ამისა, საქართველო გაწევრიანდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, აშშ-სთან, კანადასთან, იაპონიასთან, ჩინეთთან, შვეიცარიასთან დადებულია ორმხრივი ხელშეკრულებები, თავისუფლად ვაჭრობს დსთ-ს ქვეყნებთან. ყველაფერი ზემოჩამოთვლილი მიმართულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებისაკენ. ქვეყანას არჩეული აქვს მაქსიმლურად ლიბერალური დამოკიდებულება და ცდილობს მოიძიოს ყველა შესაძლო გზა, რათა გაზარდოს და წაახალისოს ექსპორტი.

თანამედროვე პერიდში საქართველო კიდევ უფრო გააქტიურდა მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში და მისი ეკონომიკაც სულ უფრო კარგახსნილი ხდება საერთაშორისო ურთიერთობებისათვის. ამ უკანასკნელის მიმოხილვისას გვერდს ვერ ავუვლით სავაჭრო სტატისტიკის შესწავლას, რაც არის საზოგადოებრივ-ეკონომიკური მეცნიერება და შეისწავლის სავაჭრო ნაკადების რაოდენობრივ მხარეს და მისი განვითარების კანონზომიერებებს. ცნობილია, რომ საქართველოს მიერ სავაჭრო სტატისტიკის წარმოება 1995 წლიდან დაიწყო, სწორედ ამ პერიოდიდან არის ხელმისაწვდომი საბაჟო მომსახურების მიერ დეკლარირებული სტატისტიკური მონაცემები ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტის შესახებ. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში იხვეწებოდა როგორც სტატისტიკის ფორმირების პრინციპი, ისე საბაჟო აღრიცხვიანობა და მონაცემთა შემდგომი ტექნიკური დამუშავება.

XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული 10 წლის განმავლობაში ექსპორტის დინამიური მწკრივი მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა, ქვეყანა სრული სვლით ჩაერთო საერთაშორისო ვაჭრობაში და აქტიურად ამყარებდა სავაჭრო ურთიერთობებს როგორც რეგიონის ასევე სხვა ქვეყნებთანაც. 2007 წელს მან უკვე 1 მილიარდ ამერიკულ დოლარსაც გადააჭარბა. სერიოზული პირველი ჩავარდნა იყო 2008-2009 წელი, როდესაც ერთმანეთს დაემთხვა საქართველოს ომი რუსეთთან და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. მზარდი ტენდენცია ფიქსირდებოდა იმპორტშიც 2007-2008 წლებში, რომლის მაჩვენებელმაც, იგივე მოვლენების გამო, 2009 წლისთვის საგრძნობლად დაიწია და 2008 წლის მაჩვენებელს, მხოლოდ 2011 წელს გადააჭარბა. ჩვენი ქვეყანა უძლური აღმოჩნდა გამკლავებოდა კრიზისის დამანგრეველ ძალას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ეკონომიკის მასშტაბებიდან და ეკონომიკური და ფინანსური სისტემის

[3]სატარიფო პოლიტიკა ექსპორტზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ფუნქციონირებაში მისი უმნიშვნელო როლიდან გამომდინარე, რეცესია შედარებით ნაკლებად შეეხო მას.

მეტი თვალსაჩინოებისთვის, სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები 2007 წლის შემდეგ ასე გამოიყურება:

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდის დინამიკა

2007-2013 წლები (მლნ დოლარი)

წლები	**2007**	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**
ბრუნვა	6 444	7 797	5 634	6 934	9 254	10,424
ზრდის ტემპი %	39.8	21.0	-27.7	23.1	33	13
ექსპორტი	1 232	1 495	1 134	1 677	2 189	2 375
ზრდის ტემპი %	31.6	21.4	-24.2	48.0	30	9
იმპორტი	5 212	6 302	4 500	5 257	7 065	8 049
ზრდის ტემპი %	41.8	20.9	-28.6	16.8	34	14
სალდო	- 3980	-4 807	-3 366	-3 580	-4 876	-5 674

2014-2019 წლები (მლნ დოლარი)

წლები	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**	**2018**
ბრუნვა	10 934	11 463	9 505	9 407	10 678	12 478
ზრდის ტემპი %	4.9	4.83	-17.1	-1.03	13.5	16.86
ექსპორტი	2 908	2 861	2 205	2 113	2 736	3 355
ზრდის ტემპი %	22.0	-1.6	-23	-4.2	29.5	22.63
იმპორტი	8 026	8 602	7 300	7 294	7 943	9 123
ზრდის ტემპი %	-0.3	7.2	-15.1	-0.08	8.9	14.86
სალდო	-5 117	-5 740	-5 096	-5 181	-5 207	-5 769

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიდან ჩანს, საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 2007 წლიდან 2014 წლამდე 6 444 მლნ აშშ დოლარიდან 11 463 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა ანუ 77,9%. დროის ამავე პერიოდში, საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 1 232 მლნ აშშ დოლარიდან, 2 861 მლნ აშშ დოლარამდე, ანუ 132,2 %-ით, ხოლო რეგისტრირებული

იმპოტის მოცულობა 5 212 მლნ აშშ დოლარიდან, 8 596 მლნ აშშ დოლარამდე, შესაბამისად 65%-ით.

ზემოაღნიშნული ტენდენცია გარკვეულ ცვლილებებს განიცდის 2015-2016 წლებში, კერძოდ - მცირდება ქვეყნის ექსპორტი, თითქმის კვლავ უთანაბრდება 2011 წლის მაჩვენებელს და ასევე მსგავს კლების ტენდენციას განიცდის რეგისტრირებული იმპორტის საერთო მოცულობაც. 2017 წლიდან კვლავ იზრდება რეგისტრირებული ექსპორტის მოცულობა და უკვე 2018 წელს ის რეგისტრირებული იმპორტის მოცულობასთან (9 123 მლნ აშშ დოლარი) ერთად რეკორდულ მაჩვენებელს აღწევს 3 355 მლნ აშშ დოლარის რაოდენობით. ეს რაოდენობრივი ზრდა განპირობებულია აგრო პროდუქცის ექსპორტის რეკორდული მაჩვენებლით, კერძოდ, მიმდინარე წელს ქართული ღვინის უპრეცენდენტო რაოდენობა გაიყიდა მიმდინარე წლის უხვმოსავლიანობის პირობებში.

2018 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 17%-ით გაიზარდა და 12 484.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მოცემულ წელს ექსპორტი 22.9%-ით გაიზარდა და რეკორდული მაჩვენებლით - 3 362.1 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა. იმპორტი 14.9%-ით გაიზარდა და 9 122.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ექსპორტის წილი ბრუნვაში 25.6%-იდან, 26.9%-მდე გაიზარდა, ხოლო უარყოფითმა სალდომ 5 760.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და სვაჭრო ბრუნვის 46% დაიკავა. 2018 წელი წარმატებული აღმოჩნდა ქვეყნისთვის იმითაც რომ 2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება და საქართველო პირველი ქვეყანა გახდა რეგიონში, რომელსაც ჩინეთთან მსგავსი გარიგება აქვს. ამ ეტაპზე ჩინეთში ექსპორტზე გადის შემდეგი საქონელი: სპილენძის მადნები და კონცენტრატები, სპილენძის ნარჩენები და ჯართი, თხილი, ღვინო, სპირტიანი სასმელები, ლუდი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა არის აქტიური მოლაპარაკებების დაწყება აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების პერსპექტივით, რაც კიდევ მრავალმილიონიან ბაზარს გახდის ხელმისაწვდომს ჩვენი ქვეყნისთვის.[4]

რაც შეეხება უარყოფით საგარეო სავაჭრო ბალანსს, სამწუხაროდ, ის ჩვენი ქვეყნისთვის უკვე კანონზომიერებად იქცა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ზრდის

[4] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი, თბილისი, 2018 წელი.

ტენდენციით ხასიათდებოდა საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი, რაც თავისი შინაარსით დადებით მოვლენას წარმოადგენს, თუმცა ამ ტენდენციის შენარჩუნება ვერ მოხერხდა და უახლოეს პერსპექტივაში მისი დადებითი მაჩვენებლის მიღებაზე ლაპარაკი აბსურდულია.

საქართველოს მიმდინარე წელს კიდევ უფრო აქტიურად ცდილობს განამყაროს და გააძლიეროს მისი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები რაც გაწერილია 2019-2022 წლის ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში, რომლის თანახმადაც დღის წესრიგში დგას საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქციის პოზიციების გამყარება, პრეფერენციული საექსპორტო პირობების შექმნა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება. ეს ყველაფერი მიღწევადია საზღვარგარეთ გამოფენებში, ფორუმებსა და სხვა ბიზნეს ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობით, უცხოეთში ქართული ბიზნეს სუბიექტების უფლებების დაცვითა და მათი საქმიანობის ხელშეწყობით. ამასთანავე სასიცოცხლოდ აუცილებელია ინტელექტუალური საკუთრებისა და ქართული სავაჭრო ნიშნების დაცვა.

საქართველოს თანამედროვე საექსპორტო პოტენციალი

საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის ანალიზი ძირითადი სასაქონლო ჯგუფების და სავაჭრო პარტნიორების მიხედვით

საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ მყარად არის გამჯდარი დამოუკიდებლობის პირველ წლებში დამკვიდრებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქვეყნის მთავარი საექსპორტო პოტენციალი ღვინოსა და მინერალურ წყლებთან არის დაკავშირებული, მთავარი საექსპორტო ბაზარი კი - რუსეთია. ცხადია, რუსეთის ბაზრის ღიაობა და მასშტაბი საინტერესოა ნებისმიერი ქვეყნის საექსპორტო მიზნებისთვის, თუმცა მასთან სავაჭრო ურთიერთობის იძულებითმა შეზღუდვებმა საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ახალი მოთამაშეები და ახალი საექსპორტო პროდუქტები წამოწია წინ.

ამ ეტაპზე საქართველოს 10 მთავარი საექსპორტო საქონელს წარმოადგენს:[5]

1. სპინელძის მადნები და კონცენტრატები
2. ფეროშენადნობები
3. ავტოექსპორტი (რეექსპორტი)
4. ღვინის ექსპორტი
5. სპირტიანი სასმელები
6. მედიკამენტები
7. აზოტოვანი სასუქები
8. მინერალური წყლები
9. თამბაქოს ნაწარმი
10. ნავთობპროდუქტები (რეექსპორტი)

2018 წელს მათი პროცენტული წილი მთლიან ექსპორტში შემდეგნაირად ნაწილდება:

[5] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი, თბილისი, 2018 წელი.



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მოცემულ წელს 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქციის ექსპორტმა 2 160 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიან ექსპორტში 64% დიკავა. საექსპორტო ათეულში, პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები - 504,1 მლნ. აშშ დოლარით და 15%-იანი წილით, რაც რეალურად რეექსპორტია. მისი მთლიანი ექსპორტი წინა წელთან შედარებით 19.3%-ით არის გაზრდილი, ხოლო ევროპა რეექსპორტირებული სპილენძის ძირითადი მომხმარებელია და დაახლოებით, 70%-ს ითვისებს. ქვეყნისთვის საექსპორტო ბაზრებს წარმოადგენს - ბულგარეთი, ჩინეთი, თურქეთი და ესპანეთი. მეორე ადგილზე მსუბუქი ავტომობილებია - 408.9 მლნ. აშშ დოლარით და 12%-იანი ზრდით. აქვე უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს ავტომობილების ქსპორტი 100%-ით რეექსპორტია, რაც განპირობებულია მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობით (გასასვლელი შავ ზღვაზე). ავტომობილების იმპორტი ხორციელდება ბელგიიდან, გერმანიიდან, გაერთიანებული სამეფოდან, ჩეხეთიდან, ხოლო ქვეყანა ექსპორტს ეწევა აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთში და ახლა უკვე უკრაინაშიც. 2018 წელს ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტი გაიზარდა 74%-ით (174.1 მლნ. აშშ დოლარით მეტი), რაც ბოლო წლებისთვის აშკარა გამოცოცხლებაა ბაზარზე. ეს დიდწილად იმის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ სომხებს მანქანები საბაჟო კავშირის ფარგლებში რუსეთში და ყაზახეთში გაჰყავთ. შესაბამისად სომხეთი გახდა საქართველოდან ტრანზიტული ქვეყანა რუსეთისთვის და ყაზახეთისთვის. საქონლის ექსპორტში მესამე ადგილზე

ფეროშენადნობები 352.6 მლნ. აშშ დოლარით და 10.5%-იანი წილით. ამ უკანასკნელის საექსპორტო ჭრილი ბევრად მრავალფეროვანია და მოიცავს: აშშ, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, პერუ, კოლუმბია, და ჩილე.

როგორც ჩანს, ეს ზემოთ მიღებული დადებითი შედეგები განპირობებულია საქართველოს ვაჭრობით, მის 10 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან. მათთან ჯამურმა ექსპორტმა 2 421მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 72% დაიკავა. ჩამონათვალში შორის პირველ ადგილზეა აზერბაიჯანი 502.7 მლნ. აშშ დოლარით და 15%-25იანი წილით, მეორე ადგილზეა რუსეთი 437.3 მლნ. აშშ დოლარით და 13% წილით, ხოლო მესამევ ადგილზეა სომხეთი 285.0 მლნ. აშშ დოლარით და 8.5% წილით.

საქართველოს სტრატეგიული სავაჭრო პარტნიორების სრული სია (ექსპორტის მიხედვით) და მათთან ექსპორტის რაოდენობა ბოლო ორი წლის განმავლობაში კი შემდეგნაირად გამოიყურება:

<u>საქართველოს უმსხვილესი პარტნიორები ექსპორტის მიხედვით</u>

<u>2017-2018</u>



	აზერბაიჯანი	რუსეთი	სომხეთი	ბულგარეთი	თურქეთი	ჩინეთი	უკრაინა	აშშ	ყაზახეთი	უზბეკეთი
2017	272	397	210	187	217	202	125	122	52	64
2018	503	437	285	259	233	198	175	160	91	80

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2018 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 12 484.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2017 წლის ანალოგიურ მონაცემზე 17%-ით მეტია. გარდა ამისა, როგორც

დიაგრამადან ჩანს, ექსპორტის დინამიკას აღნიშნულ ქვეყნებში უმნიშვნელო, მაგრამ ზრდადი ტენდენცია ახასიათებს. ექსპორტის გაცილებით მაღალი ზრდის ტემპის შედეგად, უარყოფითი სალდო 3%-ით შემცირდა, 5 760.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და სვაჭრო ბრუნვის 46% დაიკავა. შესაბამისად, გაიზარდა ექსპორტის წილი ბრუნვაში 25.6%-იდან, 27%-მდე.

ჩამოთვლილი ქვეყნების რიგითობა სულ მცირედით განსხვავდება თუ მათ დავალაგებთ უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების მიხედვით და განვიხილავთ ვაჭრობას სრული ბრუნვის გათვალისწინებით.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2018 წლის ბრუნვის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



	თურქეთი	რუსეთი	აზერბაიჯანი	ჩინეთი	უკრაინა	სომხეთი	აშშ	გერმანია	ბულგარეთი	საფრანგეთი
იმპორტი	1470	936	586	834	516	342	360	431	181	263
ექსპორტი	233	437	506	198	175	285	160	51	181	45

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების სია სულ მცირედით განსხვავდება მოწინავე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების სიისგან. 2016-2017 წლებში სიაში ადგილს იკავებდა ირანი და რუმინეთი, რომელიც მიმდინარე წელს ყაზახეთმა და უზბეკეთმა ჩაანაცვლა. საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ვაჭრობის წილმა 66.2% შეადგინა. მათ შორის ექსპორტის მხრივ პირველ ადგილზეა თურქეთი (1 702.8 მლნ. აშშ დოლარი, წილი 13.6%), მეორე

ადგილზეა რუსეთი (1 373 მლნ. აშშ დოლარი, წილი 11. %), ხოლო მე-3 აზერბაიჯანი (1 088.8 მლნ. აშშ დოლარი, წილი 8.7%). მას მოჰყვება: ჩინეთი, უკრაინა, სომხეთი, აშშ, კანადა, გერმანია, ბულგარეთი და საფრანგეთი.

2018 წელს მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში 35% დსთ-ს ქვეყნებზე, 27% ევროკავშირის ქვეყნებზე, ხოლო 38% მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებზე მოდის. იგივე სიტუაცია გვხვდება ექსპორტის მხრივაც, დსთ-ს ქვეყნები აქაც ლიდერობს 50%-იანი წილით, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებს 22% უკავია. დსთ-ის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ 2018 წელს დაახლოებით 4,4 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც 2017 წელთან შედარებით 25%-ით მეტია. ექსპორტმა დაახლოებით 1,7 მლრდ დოლარი შეადგინა - რაც 2017 წელთან შედარებით 41,6%-ით მეტია, ხოლო იმპორტმა - დაახლოებით 2,7 მლრდ დოლარი, რაც 2017 წელთან შედარებით 16,5%-ით მეტია.



	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
ექსპორტი ევროკავშირთან	233	310	424	353	607	624	645	565	655	730
იმპორტი ევროკავშირთან	1341	1471	2057	2430	2266	2372	2080	2215	2200	2629
ვაჭრობა ევროკავშირთან	**1574**	**1781**	**2481**	**2783**	**2873**	**2996**	**2725**	**2780**	**28855**	**3359**
ექსპორტი დსთ-თან	416	677	1053	1244	1621	1465	840	738	1844	1677
იმპორტი დსთ-თან	1298	1588	1942	2060	2178	2127	1968	1981	2314	2697
ვაჭრობა დსთ-თან	**1714**	**2265**	**2995**	**3304**	**3799**	**3592**	**2808**	**2719**	**4158**	**4374**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხადია, რომ დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობათა მასშტაბები ბევრად უფრო მაღალია ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით და წლების განმავლობაში

განსხვავება უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება. ეს ნაწილობრივ განპირობებულია ჩვენი ქვეყნის როგორც ტერიტორიული, ასევე მენტალური სიახლოების გამო დსთ-ს ქვეყნებთან. ამასთანავე, განსხვავება გაცილებით მასშტაბური იქნებოდა რუსეთთან ნორმალური პოლიტიკური და თავისთავად სავაჭრო ურთიერთობების პირობებში, რადგან საქართველოს ეკონომიკისათვის რუსეთის ბაზარი ყოველთვის იყო და იქნება საექსპორტო პოტენციალისათვის ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის მატარებელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ქვეყნისთვის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი თურქეთია და სწორედ მასთან აქვს ყველაზე მაღალი უარყოფითი სავაჭრო ბალანსიც (1 702.8 მლნ. აშშ დოლარი, წილი 13.6%). საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფქვილი და ხორცი, თევზი, ელექტროენერგია და წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან (ე.წ. „არმატურა“). ხოლო, თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციები, სამკურნალო საშუალებები, მილები და მილაკები შავი ლითონებისაგან, იზოლირებული კაბელები და მავთულები, სანიტარულ-ჰიგიენური ნაწარმი და სხვა. რაც შეეხება საქართველოს თურქეთთან ვაჭრობის წილს მთლიან ვაჭრობაში, ის 2010-2018 წლების განმავლობაში 12.7%-სა და 17.2%-ს შორის მერყეობდა და ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 2014 წელს მიაღწია, რის შემდეგაც საქართველოს თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობების მოცულობის შემცირების ტენდენცია აქვს და არა ზრდის. 2018 წელს 19%-ით გაიზარდა თურქეთში საქართველოს ექსპორტის მაჩვენებელი, თუმცა ზრდის სტაბილური ტენდენცია არც ექსპორტის მხრივ არ აღინიშნება, რადგან 2015-2016 წლებში თურქეთში ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა და ზრდის ტენდენცის გამოსწორება მხოლოდ 2017-2018 წლებში დაიწყო თუმცა 2014 წლის რეკორდული მაჩვენებელი ჯერ კიდევ არ გამეორებულა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თურქეთთან ვაჭრობის ხელშემწყობი ფაქტორია ჩვენი ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა. გარდა ამისა, ევროპული ბაზრისგან განსხვავებით აქ ნაკლებ მოთხოვნებს ვაწყდებით, რაც ბევრად მარტივის ხდის ქართული პროდუქციისთვის ბაზარზე ადგილის დამკვიდრებას. აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოსა და თურქეთს შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ძალაში 2008 წელს შევიდა. ხელშეკრულების მიზანი იყო ორ ქვეყანას შორის არსებული ეკონომიკური კავშირის კიდევ უფრო გაღრმავება, სასაქონლო ვაჭრობასთან დაკავშირებული სიძნელეებისა და შეზღუდვების აღმოფხვრა და, რაც მთავარია, მხარეთა შორის ვაჭრობისას სამართლიანი კონკურენციის პირობების უზრუნველყოფა. ხელშეკრულების დადების შემდგომ მრავალ საქონელზე გაუქმდა იმპორტის გადასახადი, ხოლო თურქეთმა სხვადასხვა პროდუქტებისთვის სატარიფო ქვოტები დააწესა (რაც ქართულ მხარეს არ დაუწესებია) რათა დაეცვა ადგილობრივი წარმოება იმპორტული საქონელისგან. შეზღუდვები ორივე მხრიდან, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას შეეხო - თურქეთი, რომელსაც მაღალ დონეზე განვითარებული აგრარული სექტორი აქვს, საკუთარ წარმოებას იმპორტისგან მაქსიმალურად იცავს, როგორც საბაჟო-ტექნიკური ბარიერებით, ასევე დარგის აქტიური სუბსიდირებით, მათ შორის, ექსპორტზეც. იგივე მიზნით, საქართველომ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან გამოიყვანა და საბაჟო გადასახადის გადახდა მოუწევს თურქეთიდან იმპორტირებულ რძის პროდუქციას, პომიდორს,

ციტრუსს, ნატურალურ თაფლს, თხილს, ყურძენს, ვაშლს, ბოსტნეულის კონსერვებსა და სხვა ისეთ სასოფლო სამეურნეო პროდუქციას, რომლის წარმოება საქართველოშიცაა განვითარებული.[6]

<u>ქვოტები და საბაჟო შეღავათები საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქტებზე:</u>

პროდუქცია	**ქვოტის მოცულობა**
ნატურალური ყურძნის ღვინოები	1 მლნ ლიტრი
ანჩოუსი	8 000 ტონა
ნატურალური თაფლი	200 ტონა
ციტრუსი (ლიმნის გარდა)	4 000 ტონა
ნესვი, საზამთრო, პაპაია	3 500 ტონა
ვაშლი	2 000ტონა
ბოსტნეული სხვა	1 000 ტონა
პომიდორი	600 ტონა
მსხალი, კომში	250 ტონა
გარგარი, ალუბალი, ატამი, ქლიავი	600 ტონა
ალაო, წებოვანა	2 000 ტონა
საკონდიტრო ნაწარმი	1 500 ტონა
ბოსტნეულის, ხილის კონსერვები	2 200 ტონა
ჯემი, ხილ-კენკროვანი ჟელე	1 000 ტონა
ხილის, ბოსტნეულის წვენები (ყურძნის)	4 000 ტონა

თურქეთთან ხელშეკრულების დადების შედეგად მართალია საგრძნობლად არ გაზრდილა ექსპორტი, თუმცა გაორმაგდა იმპორტირებული საქონლის რაოდენობა, რაც შეთანხმებაში თუერქეთის უპირატეს მდგომარეობაზე მეტყველებს. 2018 წელს მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმების ფარგლებში არსებული ქვოტები გაუქმდა ქართულ ლიმონზე, კივზე, ყურძენზე, ჩირზე, საკვებ ინგრედიენტებზე, ხილისა და

[6] ნოზაძე ბ., ”თურქეთთან თავისუფალ ვაჭრობას ევროკავშირი (DCFTA) გამოაცოცხლებს”, Europe for Georgia, 2016 წელი

ბოსტნეულის კონსერვებსა და წვენებზე. გარდა ამისა, კვოტები გაიზარდა ისეთ პროდუქციაზე, როგორიცაა თაფლი, რომელზეც თურქეთში მოთხოვნა საკმაოდ დიდია. კვოტები აგრეთვე გაიზარდა ცოცხალ ცხვარზე და თხაზე, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე, რაც დიდ შესაძლებლობას აძლევს საქართველოს, განავითაროს ეროვნული პროდუქციის ექსპორტი.

2018 წელს საქართველოს სავაჭრო ბრუნვა თურქეთთან წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 7%-ით გაიზარდა და 1 704.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა - ექსპორტი და იმპორტი ორივე თანაბრად, 7%-ით გაიზარდა, რაც შეზღუდვების მოხსნის გათვალისწინებით მაღალ შედეგად ვერ ჩაითვლება. 2019 წლის იანვარ-მაისის მონაცემებით, 701.8 მლნ აშშ დოლარით თურქეთი კვლავ საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად რჩება, შემდეგ მოდის რუსეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი და უკრაინა 568.2 მლნ, 435.6 მლნ, 397.1 მლნ და 251.4 მლნ აშშ დოლარით. 2019 წელს აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების განხორციელების მიზნით, რათა მოხდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ტარიფების შემდგომი ლიბერალიზაცია, რისი წარმატებით დასრულების შემთხვევაშიც ქვეყანას ცალსახად გაეზრდება სავაჭრო ბრუნვა თურქეთთან და უკეთ გააჯერებს მის ბაზარს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორებში რიგით მეორე ადგილი უკავია რუსეთს 11%-იანი წილით, რომელთანაც ვაჭერობამ 2018 წელს 1 373 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 15%-ით არის გაზრდილი, კერძოდ ექსპორტი 10%-ით არის გაზრდილი და 437.3 მლნ. აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი 17%-ით გაიზარდა და 935.7 მლნ. აშშ დოლარია. საქართველოდან რუსეთში ძირითადად შემდეგი 10 სახეობის პროდუქცია გადის: ფეროშენადნობები, ღვინო, მინერალური წყალი, სპირტიანი სასმელები, ცენტრიფუგები, ციტრუსები, სამკურნალო საშუალებები (რეექსპორტი 98%), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები, მსუბუქი ავტომობილები და თხილი. რაც შეეხება იმპორტირებულ საქონელს მათი სია შემდეგნაირად გამოიყურება: ნავთობპროდუქტები, ხორბალი, კოქსი და ნახევარკოქსი ქვანახშირის, ზეთი მზესუმზირისა, სატელეფონო აპარატები, ქვანახშირი, შოკოლადი,

ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, აპარატურა სატელევიზიო კავშირისათვის და სიმინდი. საქართველოს რუსეთთან ვაჭრობის საკმაოდ დიდხნიანი ისტორია და გამოცდილება აქვს უკვე. ის ჩვენი მეზობელი ქვეყანაა, რაც, წესით, ერთი-ორად უნდა ამარტივებდეს მასთან სავაჭრო ურთიერთობების დალაგებას და ხელს უწყობდეს ეროვნული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე აქტიურად გატანას.

რუსეთთან ეკონომიკური პარტნიორობა გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების შემცველია, რადგან მასთან საგარეო ვაჭრობა უკიდურესად პოლიტიზირებულ და არაპროგნოზირებად ხასიათს ატარებს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 2006 წელს რუსეთის ემბარგო ქართულ პროდუქციაზე, რამაც სერიოზული დარტყმა მოაყენა ქართულ ეკონომიკას, რადგან ეს უკანასკნელი არანაირად არ იყო მზად მსგავსი ცვლილებებისთვის და სასწრაფოდ მოუწია სხვა გასაღების ბაზრის ძებნა, ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიება და არსებულთან ვაჭრობის მოცულობის მასშტაბების ზრდა.

სტატისტიკურად 2005 წლიდან დღემდე რუსეთთან ექსპორტის და ზოგადად ვაჭრობის დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2006 წელის ემბარგოს შემდეგ რუსეთთან ვაჭრობაში კიდევ გაგრძელდა სირთულეები, რასაც ხელი შეუწყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა. თუ 2005 წელს რუსეთში ქართული ექსპორტის წილი 17,8% იყო, 2008 წელს 2%-მდე შემცირდა, 2010 წელს კი 2,2% შეადგინა. ანალოგიური ტენდენცია იყო იმპორტშიც - 2005 წელს რუსეთიდან საქართველოში იმპორტი 15,4%-ს შეადგენდა, 2008 წელს 6,7%-მდე შემცირდა, ხოლო 2010 წელს 5,5% შეადგინა. როგორც ჩანს 2011 წლიდან რუსეთთან ვაჭრობის დინამიკას გამოხატული დადებითი ტენდენცია გააჩნია. რაც შეეხება სალდოს, ის წლების განმავლობაში მუდმივად უარყოფითი ნიშნით ხასიათდებოდა, რაც დღემდე უცვლელია. 2013 წელს ქართული ღვინო რუსეთის ბაზარზე დაბრუნდა და 2014 წელს ექსპორტირებული ღვინის 70% და მინერალური წყლების 54% უკვე რუსეთში გადიოდა. კიდევ ერთი ჩავარდნა იყო 2015 წელს, რომელიც რუსეთსა და უკრაინას შორის არსებულ სამხედრო დაპირისპირებებს და ეკონომიკურ კრიზისს უკავშირდება. 2016-2017 წლიდან რუსეთთან ვაჭრობის დინამიკამ განსაკუთრებულად სწრაფი ტემპით დაიწყო მატება და რუსეთი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების სათავეშიც მოექცა. ეს მეტწილად განპირობებულია იმით რომ, 2016 წელს 60%-ით (49 მლნ. აშშ დოლარით) გაიზარდა ღვინის ექსპორტი, სადაც რუსეთში ექსპორტირებული ღვინის წილი 76% იყო. ბოლო წლებში რუსეთთან საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა კვლავ ნარჩუნდება და 2019 წლის იანვარ-მაისში, საქართველოს 10 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას შორის კვლავ მეორე ადგილს იკავებს, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვის მოცულობამ საანგარიშო პერიოდში 568.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

როგორი იქნება რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები მომავალში? ამის პროგნოზირება საკმაოდ რთულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქსტატის მონაცემებით 2010 წელს ქართული პროდუქციის უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანა აზერბაიჯანი იყო, რუსეთს მე-10 ადგილი ეკავა, 2011 წელს კი სიაში აღარც კი იყო. 2013 წელს, რუსეთმა ქართულ ეკონომიკაში კვლავ მნიშვნელოვანი როლი დაიბრუნა, 2014 წელს უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყნების სამეულშიც კი მოხვდა და 2017 წელს პირველი ადგილი დაიკავა. [7]რუსეთის გავლენაზე ქართულ ექსპორტში ორი აზრი არ

[7] ადამია ბ., წლების შემდეგ ქართული ექსპორტი ისევ რუსეთზე დამოკიდებული ხდება - დინამიკა ციფრებში და პრობლემები, რაც შეიძლება მომავალშიც განმეორდეს, "კომერსანტი", თბილისი, 2019 წელი

არსებობს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკისთვის აუცილებელია ბაზრის დივერსიფიკაცია, რადგან რუსეთი პოლიტიკურად არასტაბილურ ქვეყნად ითვლება და მასთან ვაჭრობაც გარკვეულ წილად საფრთხის შემცველია ჩვენი ქვეყნისთვის. მაშინ ისმევა კითხვა, რატომ რუსეთი? პასუხის გაცემა მარტივია, თუ გავითვალისწინებთ როგორც ეროვნული პროდუქციის ხარისხს, ასევე რუსეთის მოთხოვნებს იმპორტირებულ საქონელზე. ეჭვგარეშეა, რომ ამ ეტაპზე რეკომენდირებულია, საქართველომ გააკეთოს ყველაფერი, რათა მინიმალურად იყოს დამოკიდებული რუსეთის ბაზარზე - გააძლიეროს წარმოება, მოახდინოს ბაზრის დივერსიფიკაცია, აითვისოს ევროპული ბაზარი, რათა თავი დაიცვას რუსეთის მომავალი შესაძლო პოლიტიკური მანიპულაციებისაგან.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორების სამეულში ბოლო ადგილზეა აზერბაიჯანი. 2018 წელს მასთან სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 32%-ით და 1 088.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, კერძოდ ექსპორტი გაიზარდა 85%-ით და 502,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი გაიზარდა 6%-ით და 586,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აზერბაიჯანში ექსპორტზე გადის ძირითადად შემდეგი 10 საქონელი, რომელმაც 2018 წელს მთლიანი ექსპორტის 76,5%-ია: მსუბუქი ავტომობილები, თამბაქოს მზა ნაწარმი, სამკურნალო საშუალებები (რეექსპორტი 88%), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, უალკოჰოლო გაზიანი სასმელი, არმატურა, ფეროშენადნობები, სატვირთო ავტომობილები (რეექსპორტი), პლასტმასის ნაწარმი საქონლის შესაფუთი, ამწე მანქანების ნაწილები. ხოლო იმპორტული საქონლის სია შემდეგნაირია: ნავთობის აირები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ელექტროენერგია, ცემენტი, მადნები და სპილენძის კონცენტრატები, არმატურა, თაბაშირი, ხახვისმაგვარი ბოსტნეული, ვაგონები, ამწე მანქანების ნაწილები, რომელთა სრული წილი სრულ იმპორტში 86,6%-ია.

აზერბაიჯანიც თურქეთისა და რუსეთის მსგავსად ჩვენი მოზაღვრე ქვეყანაა რაც ანალოგიურად ამარტივებს მასთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარების და გაღრმავების საკითხებს. ქვეყნებს შორის წარმატებული თანამშრომლობა სხვა საქმიანობის სფეროებთან ერთად მოიცავს ვაჭრობასა და ინვესტიციებს, ენერგეტიკას, ტრანსპორტს, საბანკო და ფინანსურ სექტორებს, სოფლის მეურნეობას, სპორტს, განათლებას და კულტურას. აზერბაიჯანი და საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობენ

ვაჭრობის სფეროში, ასევე მოედინება სერიოზული ინვესტიციები ქართულ ბიზნეს სექტორში და ხორციელდება რეგიონული პროექტები (თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანი).

აზერბაიჯანთან ექსპორტზე საუბრისას აუცილებელია გამოვყოთ მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი (რეექსპორტი), რომელსაც ყველაზე მაღალი წილი აქვს მასთან ვაჭრობაში (38%) და ამავდროულად ჩვენს 10 ყველაზე მაღალექსპორტირებად საქონელში მესამე ადგილი უკავია. ეს განპირობებულია საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობით და გასასვლელით შავ ზღვაზე - დასავლეთიდან შემოსული მანქანები მეზობელ ქვეყნებში ნაწილდება – აზერბაიჯანი, სომხეთი და შუა აზიის რესპუბლიკები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოუხედავად საქართველოს ამ მნიშვნელობისა, გარკვეული ჩავარდნები ამ მხრივაც შეინიშნებოდა აზერბაიჯანთან ექსპორტის დინამიკაში, რაც გამოწვეულია მისივე შემოღებული და გამკაცრებული რეგულაციებით. აზერბაიჯანი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი საექსპორტო მიმართულებაა, რის გამოც ამ ბაზარზე ახალი რეგულაციების მიღებამ საქართველოზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც დიაგრამადან ჩანს, 2013 წლიდან აზერბაიჯანთან ვაჭრობის დინამიკამ კლება დაიწყო. 2012–2013 წლებში საქართველოდან მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი თითქმის 100%-ით გაიზარდა, ხოლო რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა 2013 წელს, როდესაც საქართველოდან 703,9 მლნ აშშ დოლარის ღირებულების მსუბუქი ავტომობილი იქნა ექსპორტირებული. 2016 წელს პირველი სერიოზული ჩავარდა იყო ავტოექსპორტში. ამისი მიზეზი ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ არის 2015 წლიდან დაწესებული რეგულაციები აზერბაიჯანში ავტომობილების ექსპორტზე, რომლის 2006 წლამდე გამოშვებული ავტომობილების ექსპორტს ეხება. აღნიშნული შეზღუდვის დაწესების შემდეგ საქართველო–აზერბაიჯანს შორის სავაჭრო ბრუნვა მნიშვნელოვნად შემცირდა. თუ 2013 წელს საქართველოდან აზერბაიჯანში ექსპორტი 710 მლნ. დოლარი იყო, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 66%–ით, 241 მლნ. დოლარამდე შემცირდა, უფრო ზუსტად - თუ 2014 წელს საქართველოდან ექსპორტზე გავიდა 518 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების მსუბუქი ავტომობილები და 27 მლნ. აშშ. დოლარის ღირებულების სატვირთო მანქანები, ეს მაჩვენებლები 2015 წელს 180 მლნ. აშშ დოლარი და 13 მლნ. აშშ დოლარი. ფაქტია, რეგულაციებამდე საქართველო იყო რეგიონში ავტომობილების ექსპორტში ლიდერი ქვეყანა და სამწუხაროდ, ამ საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ ჩვენ ეს სტატუსი აშკარად დავკარგეთ.

მსგავსი რეგულაციების საპასუხოდ საქართველომ გაამარტივა ავტომობილის განბაჟებასთან დაკავშირებული პროცედურები, კერძოდ - ავტოდილერს ცვილებების შემდეგ შეუძლია ავტომობილი შემოიყვანოს და პირველი 90 დღის განმავლობაში არ განაბაჟოს. თუ 90 დღის განმავლობაში არ გაიყიდა, შესაძლებელია ავტომობილის გადაყვანა საბაჟო ტერმინალის ზონაში და პირდაპირ იქიდან გატანა რეექსპორტზე. პრაქტიკულად, თუ ადამიანი მანქანის ვაჭრობით არის დაკავებული, მას შეუძლია ავტომობილი არ განაბაჟოს და ასე გაყიდოს რეექსპორტზე, რაც სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული შეღავათია ამ ბიზნესის წასახალისებლად.[8]

2015 წელს ექსპორტი აზერბაიჯანში წინა წელთან შედარებით 56%-ით შემცირდა და გარდა ავტომობილებისა, კლება შეეხო შემდეგ მიმართულებებსაც - ფოლადის წნელების, ანუ ეგრეთ წოდებული არმატურის ექსპორტი 83%-ით შემცირდა.

[8] სურგულაძე გ., ”რამ განაპირობა საქართველოს ავტომობილების რეგიონალურ ჰაბად ჩამოყალიბება”, სპუტნიკი-საქართველო, 2018 წელი.

მაგალითისთვის, თუ გასული წლის იანვარ-მაისის პერიოდში მხოლოდ აზერბაიჯანის მიმართულებით ქართულმა ფოლადის საწარმოებმა $29.8 მილიონის ღირებულების არმატურა გაიტანეს, 2015 წელს ეს რიცხვი $4.9 მილიონი იყო. ანალოგიურად, 2015 წელს ავტომობილებთან და არმატურასთან ერთად აზერბაიჯანში მსხვილფეხა პირუტყვის ექსპორტმაც იკლო. 2014 წელს საქართველოდან აზერბაიჯანში $15 მილიონის ღირებულების 6 ათასი ტონა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იქნა ექსპორტირებული, ხოლო 2015 წელს ეს რიცხვი $6 მილიონი იყო, საქონლის მასა კი 3 ათასი ტონა.

მსგავსი კლების ტენდენცია აზერბაიჯანთან ვაჭრობაში 2016 წლამდე შენარჩუნდა, რის შემდეგაც სიტუაციამ დადებითად გამოსწორება დაიწყო. 2017 წელს აზერბაიჯანის მიმართულებით ავტომობილების ექსპორტი გაიზარდა, რამაც ანალოგიურად გაზარდა ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვაც. 2018 წელს აზერბაიჯანთან სავაჭრო ბრუნვა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა (272 მლნ. აშშ დოლარიდან 503 მლნ. აშშ დოლარამდე) და ექსპორტის მიხედვით უმსხვილეს სავაჭრო პარტნიოს ქვეყნებს შორის პირველი ადგილი დაიკავა. ასევე აზერბაიჯანი ინარჩუნებს ქართული ცხვრის სტაბილური საექსპორტო ბაზრის სტატუსს და ბოლო წლებში შესამჩნევად აღდგა ავტომობილების ექსპორტიც (რეექსპორტი) ქართული მხარის მიერ გამარტივებული საბაჟო პროცედურების გამო. ტენდენცია ნარჩუნდება 2019 წელსაც, იანვარი-მაისის მონაცემებით 168.8 მლნ. აშშ დოლარის საქონელია ექსპორტირებული აზერბაიჯანში, რითაც ქვეყანა ინარჩუნებს სტრატეგიულ სავაჭრო პარტნიორებს შორის მესამე ადგილს, ხოლო ექსპორტის კუთხით წინ უსწრებს რუსეთი და მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

როგორც ჩანს, საქართველოს კარგად აქვს ათვისებული მისი მეზობელი ქვეყნების ბაზრები, თუმცა განსაკუთრებული ეკონომიკური ინტერესის საგნად მაინც რჩება თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებთან. ქვეყნის მიზანია სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაზრდა ევროკავშირთან, რადგან ეს ბაზარი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში - მასზე მსოფლიოს მშპ-ის და გლობალური ვაჭრობის დაახლოებით 20% მოდის. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2018 წელს დაახლოებით 3,4 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის პერიოდთან 17,7%-ით მეტია. აქედან ექსპორტმა 730,3 მლნ დოლარი შეადგინა - 11,5%-ით მეტი, ხოლო იმპორტმა - 2,6 მლრდ დოლარზე მეტი, რაც 2017 წელთან შედარებით 19,5%-ით მეტია.

2018 წელს ევროკავშირში 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქციის წილმა, ევროკავშირში მთლიანი ექსპორტის 77.9% შეადგინა. ეს პოზიციებია:[9]

- სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 325 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 44.5%);
- აზოტოვანი სასუქები - 45.7 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 6.2%);
- სპირტიანი სასმელები - 42.3 მლნ. აშშ დოლარი (მ.შ. რეექსპორტი 58%) (წილი - 5.8%);
- თხილი - 36.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 5%);
- საბურავები - 30.9 მლნ. აშშ დოლარი (სულ რეექსპორტი) (წილი - 4.2%);
- ნავთობპროდუქტები - 29.5 მლნ. აშშ დოლარი (მ.შ. რეექსპორტი 33%) (წილი - 4%);
- ღვინო - 18.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 2.5%);
- მინერალური წყლები - 16.2 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 2.2%);
- ფეროშენადნობები - 14.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 2%);
- მსუბუქი ავტომობილები - 10.8 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 1.5%).

ევროკავშირში ექსპორტის ზრდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან ძირითადად განხორციელდა შემდეგი პოზიციების ხარჯზე: სპირტიანი ალკოჰოლური სასმელები(+49%), ღვინო(+24%), მინერალური წყალი(+23%), ხილ-ბოსტნეულის კონსერვები(+48%), ხილის წვენები(+6%). სამრეწველო პროდუქციაში კი ლიდერობს სპილენძის მადნები და კონცენტრატები 28%-იანი ზრდითა და 71.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი ექსპორტით. მთლიანობაში 2018 წელს ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 6%-ით (7.9 მლნ. აშშნ დოლარით) გაიზარდა და 148 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 13%-ით (67.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი) და 582.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბოლო სტატისტიკური მონაცემებიც რომელიც საქართველოს სტატისტიკის სასახურმა გამოაქვეყნა, ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკას ერთი შეხედვით საკმაოდ მოულოდნელი საექსპორტო ბაზრები და რესურსი აქვს ათვისებული. ამ მხრივ აუცილებლად უნდა ვახსენოთ მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი, რაც ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა გასული საუკუნისათვის. მართალია

[9] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს საგარეო ვაწრობის ანალიზი, 2018 წელი.

ეს წილი რეექსპორტზე მოდის, მაგრამ ტრანზიტის პირობებმა და საქართველოს ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდგომარეობამ ეს ჯგუფი საკმაოდ განავითარა და ქვეყნისთვის სერიოზული შემოსავლების წყაროდ აქცია.

გარდა ავტომობილების ექსპორტისა აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ იმ სასაქონლო ჯგუფებზე, რომელთაც გარკვეული პოტენციალი გააჩნიათ ევროპის ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად. ბოლო პერიოდში გამოიკვეთა მოსაზრება, თითქოს ქართულ თხილს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს უცხოურს საერთაშორისო ვაჭრობაში. თხილი წლების განმავლობაში იყო ათი უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფის შემადგენელი ნაწილი. ის მსოფლიო საკონდიტრო წარმოების ერთ-ერთი პოპულარული ინგრედიენტია და მასზე მოთხოვნა სტაბილურად ნარჩუნდება. თხილის კომერციული წარმოებისათვის ხელსაყრელი კლიმატური პირობები მსოფლიოში მხოლოდ ცალკეულ არეალში არსებობს, და მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აგროგეოგრაფიული ზონა საქართველოს უკავია. ქართული თხილის ყველაზე მსხვილი საექსპორტო ბაზარი ევროპის ქვეყნებზე მოდის. თხილის გულის იმპორტიორი ქვეყნების პირველი სამეულია: იტალია, საფრანგეთი და გერმანია, რომლებიც ჯამში მსოფლიო იმპორტის თითქმის ნახევარს — 48%-ს შეადგენს. ევროკავშირში გაუტეხავი თხილი და თხილის გული საქართველოს გარდა კიდევ რამდენიმე ქვეყანას გააქვს, მათ შორის: თურქეთს, ჩილეს, საფრანგეთს, აშშ–ს, აზერბაიჯანს, იტალიასა და ჰოლანდიას. ევროპის ბაზარზე საქართველო თურქეთთან ერთად თხილის ერთ–ერთ ყველაზე მსხვილ მიმწოდებლად ითვლება. 2009-2012 წლებში ევროკავშირში გაუტეხავი თხილის ექსპორტის მოცულობით საქართველო ექსპორტიორ ქვეყნებს შორის მეხუთე ადგილზე იყო, თხილის გულის ექსპორტიორ ქვეყნებში კი მესამეზე. გამონაკლისი იყო 2011 წელი, როცა საქართველომ ევროკავშირში თხილის გულის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის ექსპორტის მოცულობით მეორე ადგილი დაიკავა. მსოფლიო ექსპორტში ქართული წილის ზრდა განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო 2008-2013 წლებში, აღნიშნულ პერიოდში ქართული თხილის გულის ექსპორტის წილი მსოფლიო ექსპორტში 2,8 % – იდან 10,8%-მდე გაიზარდა. ეს კი 4-ჯერ გაზრდილი მაჩვენებელია. საქართველოს ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტის განსაკუთრებული ზრდა 2013 წელს დაფიქსირდა, ეს მაჩენებელი კი 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 79 მილიონი დოლარიდან 161 მილიონ დოლარამდე. თხილის საექსპორტო ბუმი გაგრძელდა და 2013-2014 წლებში ქვეყანაში წარმოებული თხილის მოცულობა თითქმის გაორმაგდა (შეადგინა 40 ათასი ტონა, მაშინ

როდესაც წინა წლებში თხილის წარმოება საშუალოდ 25 ათასი ტონა იყო.) . მთლიანობაში მსოფლიო ექსპორტში ქართული წილის ზრდა განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო 2008-2013 წლებში, აღნიშნულ პერიოდში ქართული თხილის გულის ექსპორტის წილი მსოფლიო ექსპორტში 2,8 % – იდან 10,8%-მდე გაიზარდა. ეს კი 4-ჯერ გაზრდილი მაჩვენებელია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ევროპის ქვეყნების ბაზარზე თხილის ერთ–ერთ მსხვილ მიმწოდებლად ითვლება, ის ბაზარზე ფასის განსაზღვრაში არ მონაწილეობს. გარდა ამისა, საქართველოდან ევროკავშირში შეტანილი გაუტეხავი თხილიც და თხილის გულიც ყველაზე დაბალ ფასად იყიდება. ამ ეტაპზე ბაზრის ლიდერია თურქული თხილი, რომელიც მსოფლიო წარმოების დაახლოებით 75%-ს შეადგენს. თავისთავად, თურქეთში თხილის მოსავლის მოცულობა მსოფლიო ბაზარზე თხილის ფასზე მნიშვნელოვნად მოქმედებს. ზოგადად, თურქული თხილის გულის საექსპორტო ღირებულება ქართული თხილის გულის ფასთან შედარებით, საშუალოდ, 0.5-1.5 აშშ დოლარით ძვირია, რაც შემდეგი ძირითადი ფაქტორებით არის განპირობებული:[10]

- თურქულ ექსპორტიორ კომპანიებს ევროპელ მწარმოებლებთან პირდაპირი კავშირი აქვთ;
- თურქული საწარმოების მნიშვნელოვანი წილი სერტიფიცირებულია და ევროსტანდარტებს აკმაყოფილებს, რაც ევროგაერთიანებაში პროდუქციის მაღალი ფასით ექსპორტისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

2014 წელს თხილის მსოფლიო ფასი წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ვერ ახდენს გავლენას თხილის საბაზრო ფასის ფორმირებაზე და თხილის ფასს თურქეთი, ბაზრის მთავარი მოთამაშე, განსაზღვრავს. 2014 წელს ძლიერი ყინვების გამო დაზიანდა თურქული თხილის მოსავალი. თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტის თანახმად, 2014 წელს წინა წელთან შედარებით თხილის წარმოება 25%-ით შემცირდა. წარმოების შემცირებამ თურქული თხილის ფასის 85%-იანი ზრდა გამოიწვია. თურქული თხილის გაძვირებამ გავლენა

[10] მიქაძე თ., თხილის გადამმუშავებელი სიმძლავრეები საქართველოში, ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“, თბილისი, 2017 წელი.

იქონია თხილის საბაზრო ფასზე, რის შედეგადაც გაიზარდა ქართული თხილის ფასი და შესაბამისად ექსპორტის ღირებულება.

თხილის ექსპორტში მნიშვნელოვანი პრობლემა შეინიშნება ჩვენი ქვეყნისთვის - ქართველ ექსპორტიორებს ევროპული კომპანიებისთვის მაღალი ხარისხის თხილის გარანტირებული მიწოდება არ შეუძლიათ. მაგალითად, კომპანია „ნესტლე“ ქართულ თხილს არ ყიდულობს. ის მიმწოდებლებთან მინიმუმ 1–წლიან კონტრაქტს დებს და 500–დან 1000 ტონამდე საუკეთესო ხარისხის თხილის მიწოდებას ითხოვს. საქართველოში არ არსებობს კომპანია, რომელიც „ნესტლეს“ მოთხოვნების დაკმაყოფილებას შეძლებს. თუმცა, საქართველოს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა გამგეობის თავმჯდომარე ამბობს, რომ ევროკავშირი ქართული თხილისთვის პერსპექტიული ბაზარია. ამისთვის აუცილებელია მთავრობამ ხელი შეუწყოს ამ სეგმენტის განვითარებას, შეიქმნას ხარისხის კონტროლისთვის აუცილებელი ლაბორატორიები და ქვეყანა აქტიურად დაინტერესდეს ამ მიმართულებით განავითაროს თავისი შესაძლებლობები და მიიღოს მაქსიმუმი სარგებელი არსებული პოტენციალითაც კი.

ამ ეტაპზე საქართველოში არსებული საწარმოები შესაძლებელია სამ კატეგორიად დავყოთ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით:[11]

- I კატეგორია — სერტიფიცირებული საწარმოები;
- II კატეგორია — საწარმოები, რომელთაც გააჩნიათ მოკლე დროში სერტიფიცირების პოტენციალი;
- III კატეგორია — საწარმოები, რომლებსაც გაუჭირდებათ ან საერთოდ ვერ შეძლებენ სერტიფიცირებას.

მხოლოდ <u>I კატეგორიას</u> გააჩნია შესაძლებლობა იყოს სრულფასოვანი ექსპორტიორი და ევროპულ თხილის მომხმარებელ კომპანიებთან გრძელვადიანი ურთიერთობები ჰქონდეს.

<u>II კატეგორიის</u> საწარმოები ცდილობენ ურთიერთობები დაამყარონ გადამყიდველ კომპანიებთან (ძირითადად თურქული კომპანიები, რომლებიც საშუალოდ 10-40 აშშ ცენტის მოგებით მუშაობენ, რასაც მწარმოებელი იხდის). ეს საწარმოები მუდმივად

[11] მიქაძე თ., თხილის გადამმუშავებელი სიმძლავრეები საქართველოში, ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“, თბილისი, 2017 წელი.

დამოკიდებული არიან გადამყიდველებზე და სეზონის დაწყების პერიოდში, წინასწარი კონტრაქტების გარეშე იწყებენ თხილის შესყიდვას, რაც ზრდის მათი წარუმატებლობის რისკს და ხშირად მათი საქმიანობა ფინანსური პრობლემებით მიმდინარეობს.

<u>III კატეგორიის</u> საწარმოების აბსოლუტურ უმრავლესობას არა აქვს არც ფინანსური და არც ტექნიკური შესაძლებლობები დამოუკიდებლად გაყიდონ პროდუქცია თუნდაც საშუამავლო კომპანიებზე, ამიტომ ისინი ფაქტობრივად სხვა უფრო დიდი ზომის ქართული საწარმოების მიმწოდებლები არიან და თუნდაც ასეთ შემთხვევაში წინასწარ საჭიროებენ დაფინანსებას.

ამჟამად, უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ჩამონათვალიდან თხილი გამოვარდნილია (თუმცა აქტიურად ექსპორტირდება ევროპის ბაზარზე), რაც სავარაუდოდ ფაროსანასა და სოკოვანი პარაზიტების მიერ პლანტაციების დაზიანებას უკავშირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კონკრეტულ დარგში სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა და სუბსიდირება არ აღინიშნება. არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად აუცილებელია მეწარმეების მეტი ინფორმირებულობა, თუ როგორ და რა სტანდარტებით უნდა მოხდეს თხილის წარმოება იმისთვის, რომ თავი ავარიდოთ თხილის უკან დაბრუნებას. საწმუხაროა მაგრამ, ამის ყველაზე დიდი პრეცედენტი უკვე გვქონდა 2012 წელს, როდესაც 22 ათასი კილოგრამი თხილი დაგვიბრუნეს.

რთულია თხილის ექსპორტის მომავლის პროგნოზირება, თუმცა ფაქტია რომ აღნიშნული დარგი მოწინავე პოზიციებს იკავებს მსოფლიო ბაზარზე. საქართველოში წარმოებული თხილი მსოფლიო წარმოების 3%-ია, რაც სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან შეფარდებით (თურქეთი, იტალია, ესპანეთი, აშშ) საკმაოდ სერიოზული მიღწევაა. მეტიც, ბოლო წლებში დასავლეთ საქართველოში თხილის პლანტაციების განაშენიანების ტემპებს თუ გავითვალისწინებთ, მოსალოდნელია, რომ საქართველოს წილი თხილის მსოფლიო წარმოებაში 3%-დან 5%-მდე გაიზარდოს და 2020 წლისათვის მსოფლიოში სიდიდით თხილის მესამე მწარმოებელი ქვეყანა გახდეს. [12] ქართული თხილის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი დამოკიდებულია საბაზრო ფასზე, რომელის ფორმირებაშიც ის როგორც აღვნიშნეთ მცირე საბაზრო წილის გამო მონაწილეობას ვერ იღებს. საჭიროა, რომ ქართული თხილი შეესაბამებოდეს ევროპის ბაზრის მკაცრად

[12] კეკენაძე ნ., ქართული თხილი მსოფლიო ბაზარზე – 2015 – 2020 წლების პროგნოზები, თბილისი, 2014 წელი

გაწერილ სტანდარტებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მისაღწევად და დარგის პოტენციალის გასავითარებლად კი საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, რათა ამაღლდეს ქართული თხილის ცნობადობა და მოიძებნოს გასაღების სტაბილური ბაზრები.

თუ შედარებით ძველ საექსპორტო დარგებს შევეხებით, სიახლე არ იქნება თუ ვილაპარაკებთ ქართული ღვინის მნიშვნელოვნებასა და საპატიო ადგილგილზე საქართველოს ექსპორტში. ეს უკანასკნელი ერთ-ერთ სტრატეგიულ დარგად მიიჩნევა და ამის სასარგებლოდვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყნებს შორის გამოირჩევა კონკურენციული უპირატესობით, რასაც განაპირობებს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება. ღვინო ყოველთვის მიიჩნეოდა საქართველოს სავიზიტო ბარათად მსოფლიო ბაზარზე. ქართული ღვინო ისტორიით ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. დღეისთვის ნაპოვნი ყველაზე ადრეული ნიშნები მევენახეობისა და ღვინის წარმოებაზე მიუთითებს საქართველოში ღვინის კულტურის არსებობაზე დაახლოებით 7000 წლის წინ, რაც საქართველოს ღვინის სამშობლოს სტატუსს ანიჭებს. მეღვინეობა ყოველთვის აღიარებული იყო როგორც ქვეყნის სტრატეგიულ წარმოებად და ამასთანავე აქტიური მხარდაჭერა შეინიშნებოდა სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების მხრივაც. სახელმწიფო სხვადასხვა ფორმით რთველის სუბსიდირებაში უკვე დაახლეობით 10 წელია ჩართულია.

2006 წელს ქართულმა ღვინომ გასაღების მთავარი, რუსეთის ბაზარი დაკარგა. ემბარგომდე რუსულ ბაზარზე ექსპორტირებული ღვინის დაახლოებით, 75% გადიოდა. ბაზრის დაკარგვამ ღვინის ბიზნესი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, მაგალითად, თუ 2005 წელს ექსპორტზე 80 მილონი დოლარის ღირებულების ღვინო გავიდა, 2007 წელს ეს მაჩვენებელი 29 მილიონ დოლარამდე დაეცა. კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა 2007 წელი მოცემული სექტორისთვის. ტრადიციული საგარეო ბაზრის შოკურმა მდგომარეობამ, დროის სიმცირის გამო ახალი ბაზრების აუთვისებლობამ, გამოიწვია ქართული ღვინის საექსპორტო მაჩვენებლის კიდევ 30%-ით შემცირება. 2007 წელს მთლიან ექსპორტში ღვინის წილი 2.4% იყო, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 2000 წლიდან მოყოლებული დღემდე.

საქართველოს ხელისუფლებამ 2008 წლიდან ქართული ღვინის საერთაშორისო ბაზრებზე ცნობადობის გასაზრდელად, გარკვეული პროექტების განხორციელება დაიწყო, რაც, საბოლოოდ ღვინის ექსპორტის გაზრდაზე იყო ორიენტირებული. 2007-2011 წლებში ქართული ღვინის საერთაშორისო პოპულარიზაციისთვის 3 მილიონ 612 ათასი ლარი გაიღო, აქედან 2 მილიონ 262 ათასი 2010-2011 წელს დაიხარჯა. 2010 წელს ექსპორტზე უკვე 50 მილიონი დოლარის ღირებულების ღვინო გავიდა, უფრო მეტიც კი, ვიდრე ემბარგომდე იყიდებოდა.[13]

მთლიანობაში 2006-2012 წლებში ვერ მოხერხდა ქართული ღვინის საერთაშორისო ბაზრების არსებითი დივერსიფიცირება და მსოფლიოს სხვადასხვა ბაზრების ეფექტიანი ათვისება, ხოლო 2013 წელს კი, რუსეთის ბაზრის გახსნის შემდეგ, საქართველოდან 128 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 35906 ტონა ღვინის ექსპორტი განხორციელდა, რაც ღირებულებით გამოსახულებაში თითქმის 2-ჯერ, ხოლო ნატურალურ გამოსახულებაში 77.6 პროცენტით აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

დღესდღეობით საქართველოს ღვინის ინდუსტრია დაკარგული პოზიციების დაბრუნებას აქტიურად ცდილობს. ქართული ღვინის ექსპორტის 50 პროცენტზე მეტი ისევ რუსეთზე მოდის. ტრადიციული ბაზრების გარდა, ღვინის ექსპორტის ზრდა შეინიშნება შედარებით ახალ ბაზრებზე, რომლებსაც ღვინის ეროვნული სააგენტო სტრატეგიულ მიმართულებად მიიჩნევს. მათ შორის, აღსანიშნავია, ქართული ღვინის ექსპორტის 32%-იანი - პოლონეთში, 21%-იანი უკრაინაში და 16%-იანი - რუსეთში და 12%-იანი ლატვიაში.

მეღვინეობის დარგისთვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა 2017-2018 წლები. 2018 წელს მისმა ექსპორტმა 196.9 მლნ. აშშ დოლარით (15%-ით და 25.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი) რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (114.5 მლნ. აშშ დოლარი და 58%), უკრაინა (21.6 მლნ. აშშ დოლარი და 11%), ჩინეთი (19.8 მლნ. აშშ დოლარი და 10%), ყაზახეთი (8.9 მლნ. აშშ დოლარიდა 5%), პოლონეთი (7.8 მლნ. აშშ დოლარი და 4%), ლატვია (4.0 მლნ. აშშ დოლარი 2%);

[13] სახელმწიფოს აუდიტის სამსახური, ”ქართული ღვინოპროდუქციის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა”, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში N20/00, თბილისი, 2013 წელი.

ევროკავშირში ღვინის ექსპორტი მთლიანად 24%-ით და 3.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი შემოსავლის მომტანი აღმოჩნდა ქვეყნისთვის წინა წელთან შედარებით.

საერთო ჯამში, ბრენდის, ღვინის, ჭაჭის, ღვინის მასალის და სპირტის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა 2018 წელს 306,5 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც 2017 წლის მონაცემებს 7%-ით აღემატება.

ღვინოსთან ერთად ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო საუბარი ქართული თაფლის პოპულარიზაციასა და მის საექსპორტოდ გატანაზე. ევროკავშირის წარმომადგენლებმა საქართველოში თაფლის წარმოების ინდუსტრია შეამოწმეს და მიიჩნიეს, რომ სწორედ თაფლია ის პროდუქტი, რომელსაც თხილისა და ღვინის კვალდაკვალ ევროკავშირის ბაზარზე შესვლის რეალური პერსპექტივა აქვს.

ამჟამად საქართველოდან თაფლის ექსპორტირება ხდება აზიის ქვეყნებში და ისიც მცირე რაოდენობით, ვინაიდან ვერ ხერხდება ერთგვაროვანი თაფლის დიდი მასის შეგროვება. რაც შეეხება ევროპის ბაზარს, ის არის ყველზე დიდი, ძვირი და პოლიტიკური რყევებისგან დაცული ბაზარი, ამიტომ მისკენ მთელი მსოფლიო მიილტვის. ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში ხუთ წელზე მეტია მიმდინარეობს მოლაპარაკებები, შედეგად ევროპამ აღიარა ჩვენი კონტროლის სისტემა საქართველო იმ ქვეყნების ჩამონათვალში შეიყვანა, საიდანაც ევროკავშირის ტერიტორიაზე თაფლის იმპორტი დაშვებულია. მოთხოვნების შესაბამსიად მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ევროპის კანონმდებლობასთან დაახლოებას გულისხმობს, კერძოდ, დამტკიცდა ვეტერინარული პრეპარატების, სხვა დამაბინძურებლებისა და ნარჩენი ნივთიერებების მონიტორინგის გეგმა და 2015 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“, რომელიც თაფლთან დაკავშირებით მოთხოვნებს ადგენს“. ბიზნესოპერატორი ვალდებულია, თაფლი ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სტანდარტებით აწარმოოს, შესაბამისად, თაფლის მწარმოებლებს საშუალება აქვთ შესაბამისი სტანდარეტების დაცვის შემთხვევაში საკუთარი პროდუქცია ევროპის ბაზარზე განათავსონ. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს ისეთი ლაბორატორია, რომელიც თაფლის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობას გამოიკვლევს და ექნება საერთაშორისო აღიარება.

ქართული თაფლი ბევრად უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ჩინური ან არგენტინული. უცხოელი ექსპერტები აღნიშნავენ რომ ის გამოირჩევა თავისი გემოვნური თვისებებით, ეკოლოგიური სისუფთავით რაც ერთი-ორად ზრდის მის ფასს. ქართულმა თაფლმა განსხვავებული ნიშა უნდა დაიკავოს.[14]

"საქსტატის" ცნობით, 2013 წელს საქართველოდან ექსპორტით 6-ჯერ მეტი თაფლი გავიდა (17 ტონა - 116,7 ათასი დოლარის ღირებულების), ვიდრე 2012 წელს (2,7 ტონა - 29,2 ათასი დოლარის ღირებულების). 2013 წელს ყველაზე მეტი თაფლი ლიბიაში გავიდა (12,9 ტონა - 62,4 ათასი დოლარის ღირებულების), 2012 წელს კი ძირითადი ექსპორტიორი ქვეყანა აზერბაიჯანი იყო, სადაც 2,6 ტონა თაფლი გავიდა. თაფლის ადგილობრივმა წარმოებამ საქსტატის მონაცემებით 2010 წელს – 4 200 ტონა, 2011 წელს – 2 700, 2012 წელს – 4 100, ხოლო 2013 წელს 3 900 ტონა შეადგინა. 2014 წელს საქართველოდან თაფლის ექსპორტი 5 ქვეყანაში განხორციელდა. საუდის არაბეთში თაფლის ექსპორტმა 4,3 ტონა, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში - 0,1 ტონა, ჰონკონგში - 0,6 ტონა, ჩინეთში - 0,3 ტონა, ხოლო კორეაში - 0,1 ტონა შეადგინა.

იმისთვის, რომ ევროპის რომელიმე ქვეყანაში შევიტანოთ თაფლი, საჭიროა გაფორმდეს ხელშეკრულება და დავიცვათ უწყვეტი მიწოდების რეჟიმი. ეს კი თითქმის შეუძლებელია ჩვენს პირობებში. საქსტატის ცნობით, საქართველოდან ექსპორტზე გასული თაფლის რაოდენობა ბოლო სამი წლის განმავლობაში მცირდება. კერძოდ, 2015 წელს საქართველოდან ექსპორტზე - 73,1 ათასი დოლარის ღირებულების თაფლი გავიდა, 2016 წელს ეს მაჩვენებელი 21, 2 ათასი დოლარი იყო, 2017 წელს კი მხოლოდ 15, 8 ათასი აშშ დოლარს შეადგენდა, რაც ბოლო წლებში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

ევროკავშირს თაფლის შემოწმებასთან დაკავშირებით მკაცრი მოთხოვნები აქვს. ამ მოთხოვნებიდან ყველაზე მთავარი თაფლში ანტიობიოტიკების და პესტიციდების ნარჩენების დადგენაა. გარდა ამისა, მკაცრად არის გაწერილი თაფლში ზოგიერთი ნივთიერების დასაშვები რაოდენობები და საერთოდ აკრძალული ნივთიერებები. ამ ეტაპზე თაფლის შემოწმება ანტიობიოტიკების და პესტიციდების ნარჩენებზე საქართველოში არცერთ ლაბორატორიას არ შეუძლია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო საქართველოში თაფლის ხარისხობრივ

[14] ვარდიაშვილი მ,, ”თაფლის წარმოება, ექსპორტი და დამაბრკოლებელი ფაქტორები”, Europe for Georgia, 2015 წელი.

მონიტორინგს 2012 წლიდან ატარებს. ლაბორატორიული კვლევისთვის თაფლის სინჯები ლატვიის ქალაქ რიგაში, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ლაბორატორია „ბიორში" იგზავნება. 2013 წელს ამ ლაბორატორიაში თაფლის 42 ნიმუში გაიგზავნა. აქედან 17 სინჯში ანტიბიოტიკების ნარჩენები აღმოჩნდა. 2014 წელს ამავე ლაბორატორიაში კვლევისთვის საქართველოს სხვადასხვა მეურნეობებიდან და მაღაზიებიდან აღებული თაფლის 103 სინჯი გაგზავნეს.

მეფუტკრეობის დარგისა და კვების პროდუქტების უვნებლობის ევროპული სტანდარტების დაცვით წარმოებული ქართული პრემიუმ თაფლის საექსპორტო პოტენციალის განვითარება ჩვენი პრიორიტეტი უნდა გახდეს. თაფლთან ერთად ექსპორტზე შესაძლოა, ფუტკრის რძე, შხამი, ყვავილის მტვერი, დინდგელი, ცვილი და ჭეო გავიდეს. ფუტკრის რძის ყველაზე დიდი მომხმარებელი იაპონიაა.[15]იქ რადიაციული დაბინძურებით გამოწვეული ზიანის პრევენციის მიზნით ყველა ბავშვი იღებს ფუტკრის რძეს და ამ პროცესს სახელმწიფო აფინანსებს. დინდგელის შესყიდვით ფრანგი და ჩინელი ბიზნესმენებიც აქტიურად არიან დაინტერესებულნი, რაც მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს ქართველ მედუტკრეებსა და ბიზნესმენებს.

ამ ეტაპზე ევროკავშირის ბაზარი ბევრ შესაძლებლობებს სთავაზობს ექსპორტიორ კომპანიებს განვითარებადი ქვეყნებიდან. ევროკავშირის ბაზარზე წარმატებისთვის საქართველოს მეფუქტკრეობის დარგმა უნდა უზრუნველყოს თაფლის გარკვეული მოცულობის სტაბილური მიწოდება, შეამციროს ფასები და ხარჯები მიწოდების ჯაჭვში, რომ უზრუნველყოს კონკურენტული ფასები ახალ ბაზარზე, მოახდინოს კლიენტების ბაზის დივერსიფიკაცია, რომ არ იყოს დამოკიდებული მცირე რაოდენობის მყიდველებზე ან მხოლოდ ერთ ბაზარზე, და მზად იყოს მძაფრი კონკურენციისთვის არაოფიციალური ბაზრების და უკრაინიდან თაფლის მიმწოდებლების მხრიდან. პროგნოზის მიხედვით ევროკავშირში მომავალ ხუთ წელიწადში თაფლის იმპორტი კიდევ უფრო გაიზრდება ევროპაში თაფლის წარმოების შემდგომი შემცირების საკომპენსაციოდ. [16]

[15] ვარდიაშვილი მ., თაფლის წარმოება, ექსპორტი და დამაბრკოლებელი ფაქტორები, თბილისი, 2015 წელი
[16] ”თაფლის ღირებულების ჯაჭვი”, ევროკავშირი საქართველოსთვის, ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, თბილისი, 2017 წელი

საქართველოს პარტნიორობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

მსოფლიო ეკონომიკა სულ უფრო ერთიან სამეურნეო ორგანიზმად ყალიბდება, რაც წარმოშობს ახალ პირობებში მისი ახლებურად რეგულირების საკითხს. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა მსოფლიო მეურნეობის და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირების გლობალური სისტემა, რომელშიც აშკარად მოჩანს რეგულირებისა და მართვის საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების როლის ამაღლება და საქმიანობის მიმართულებების ზრდა.

1996 წელს საქართველომ გაწევრიანების თხოვნით მიმართა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას. გაერთიანების ოქმს ხელი მოეწერა 1999 წლის 6 ოქტომბერს, ხოლო პარლამენტის მიერ ამ აქტის რატიფიკაციის შემდეგ 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო გახდა WTO-ს სრულფასოვანი 137-ე წევრი.

WTO წარმოადგენს 1947 წელს ხელმოწერილი „ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების“ GATT-ის სამართალმემკვიდრეს. GATT-ი წარმოადგენს მრავალმხრივ შეთანხმებას, რომელიც ადგენს წესებს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლიანი წარმართვისთვის. იგი ასევე გამოიყენება, როგორც საერთაშორისო ფორუმი სავაჭრო ბარიერების გაუქმების შესახებ მოლაპარაკებებისათვის. WTO-ში ქვეყნის მიღება ნიშნავს, რომ მან უკვე მიაღწია როგორც ეკონომიკურ, ასევე ინსტიტუციური განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს . WTO-ში ყველაზე პატარა სახელმწიფოსაც კი, თუ შეუძლია თავისი ეკონომიკური ინტერესები მტკიცედ დაიცვას და საკუთარი ადგილიც მოიპოვოს მსოფლიო ბაზარზე.

WTO -ს ძირითად პრონციპებს წარმოადგენს:

- ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე, რაც გულისხმობს ერთის მხრივ წევრი ქვეყნების მიერ ერთმანეთისთვის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას, ხოლო მეორე მხრივ თანაბარი უფლებებისა და პირობების უზრუნველყოფას იმპორტული და ადგილობრივად წარმოებული საქონლისთვის.
- ქვეყნების ინტეგრაცია საერთაშორისო და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ერთობრივი დაგეგმვა მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულების ბაზაზე;

- კეთილსინდისიერი დათმობების წახალისება ურთიერთდათმობების განხორციელებით;
- დავების გადაწყვეტა კონსულტაციებითა და მოლაპარაკებების გზით, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში GATT-ის სპეციალური ორგანოების გადაწყვეტილებებზე დაყრდობა;
- შიდა ბაზრის დასაცავად უპირატესად ტარიფული მეთოდების გამოყენება და არა რაოდენობრივი შეზღუდვების და სხვა ტექნიკური ბარიერების დაწესება;
- თითოეულ ქვეყანაში პროგნოზირებადი სავაჭრო პოლიტიკის უზრუნველყოფა.

ვმო-ს სტრუქტურა ჩამოყალიბებულია იმ შეთანხმებათა შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენს წევრ-ქვეყნებს შორის მრავალმხრივ ურთიერთობათა სამართლებრივ ბაზას, ხოლო ორგანიზაციის საქმანობას საფუძვლად უდევს სამი საერთაშორისო ხელშეკრულება:[17]

1. გენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფების შესახებ **(GATT);**

2. გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ **(GATS);**

3. შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების სავაჭრო ასპექტების შესახებ;

შეთანხმებათა საერთო ძირითად მიზანს კი წარმოადგენს დახმარების გაწევა ყველა ქვეყნის ფირმისათვის, რომელიც დაკავებულია ექსპორტ-იმპორტით.

WTO-ში გაწევრიანების შედეგად საქართველომ მისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად უამრავი კანონი მიიღო ან ძველის ცვლილება განახორციელა, გაძლიერდა საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში და ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა უფრო ჰარმონიზებული გახდა ევროპულთან (რაც აუცილებელი პირობაა ევროკავშირში ინტეგრირების სტრატეგიული მიზნის მისაღწევად). ამასთანავე, გაუმჯობესდა გარემო უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის, რადგან ინვესტორს გრძელ ვადაზე პროგნოზირებადი სავაჭრო პოლიტიკის გარანტია გაუჩნდა, ხოლო ქართულ პროდუქციას გაეხსნა საგარეო ბაზრები. დღესდღეობით ქვეყანა აქტიურად წარმართავს მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების პროცესს, თანამშრომლობს

[17] ”საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან”, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, თბილისი, 2005 წელი.

მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, თანდათანობით ითვისებს ახალ ბაზრებს და ორგანიზაციის აქტიური წევრი ხდება.

საქართველოსთვის, ისევე როგორ ყველა მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანება მომგებიანად ითვლება, რადგან დისკრიმინაციისგან დაცვა და ეროვნულ თუ იმპორტირებულ საქონელზე თანაბარი გადასახადების დაწესება ხელს უწყობს როგორც ამ ქვეყნის მომხმარებლის მსყიდველობითუნარიანობას, ასევე მეწარმეებს, რომლებსაც შანსი ეძლევათ თავისი პროდუქცია ქვეყნის გარეთაც გაიტანონ.

1997-1998 წლებში საქართველოს საგარეო სავაჭრო პარტნიორების რიცხვი 90 -ს ფარგლებში მერყეობდა ხოლო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ ჩვენი ქვეყანას მიეცა საშუალება ესarგებლა ,,ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" პირობებით, მსოფლიოს 131 ქვეყანასთან.[18]

2000 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც საქართველო შეუერთდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, ქვეყნის ექსპორტირებული საქონლის რაოდენობა ზრდის ტენდენციას განიცდიდა. გამონაკლისი იყო ორი შემთხვევა - პირველი 2001 წელი და მეორედ 2008 წელს როდესაც მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა, რომელმაც ერთიანად შეაფერხა მოფლიო ეკონომიკის განვითარება და ანალოგიურად იმოქმედა ჩვენს ქვეყანაზეც. სავაჭრო კუთხით პირველ ადგილზე იყვნენ დსთ-ს ქვეყნები, რომელთაც მკვეთრად ჩამოუვარდება ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები, რაც არც არის გასაკვირი განსაკუთრებით კი მოცემული პერიოდისათვის.

ამ დროისთვის ნათელია განხორცილებული ღონისძიებების დადებითი ტენდენციები:

- საქონელბრუნვის ზრდა;
- საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიის გაფართოება;
- იმპორტის სტრუქტურაში მანქანა - მოწყობილობების და ტექნოლოგიების წილის ზრდა;

[18] ნანობაშვილი გ., "საქართველოს საგარეო ვაჭრობის გაუმჯობესების შესაძლებლობები", „საქართველოს ეკონომიკის განვითარების ახალი ეტაპი. პრობლემები და პერსპექტივები", სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია, თბილისი, 20015 წელი.

- იმპორტის შემცირება იმ სასაქონლო პოზიციებში, რომელთა ადგილობრივი წარმოება ზრდის ტენდენციით და კონკურენტუნარიანი საქონლის გამოშვებით ხასიათდება;
- დსთ ბაზრის პარალელურად სხვა ქვეყნების ბაზრებზე ქართული პროდუქციის ექსპორტის მატება.

ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს გაწევრიანების შემდგომი ეტაპის სწორად წარმართვა იმისათვის, რომ ქვეყანამ შეძლოს აღებულ ვალდებულებათა შესრულება და ვმო-ს შეთანხმებებით გათვალისწინებულ უპირატესობათა სრულფასოვანი გამოყენება. ნულოვანი საბაჟო განაკვეთების სარგებლიანობა და ეფექტიანობა მაშინ დაეტყობა ქვეყანას, თუ ის არ დარჩება მხოლოდ შეთანხმებებად და მას ადგილობრივი მეწარმეები გამოიყენებენ. მაგრამ ეს შეთანხმებები ყოველთვის დარჩება უსარგებლოდ ჩვენი ეკონომიკისათვის თუ საექსპორტო პროდუქციის ხარისხიც არ მივუსადაგეთ იმ ქვეყნის სტანდარტებს, რომელშიც საქონლისა თუ მომსახურების ექსპორტირებას ვგეგმავთ, რაც დიდი პრობლემა და გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისათვის.

ევროპასთან ვაჭრობა ძალიან რთულია ბევრი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებთან, რომელთაც ძალიან მაღალ დონეზე აქვთ საექსპორტო წარმოება განვითარებული. ევროკავშირის ბაზარი შედგება 28 ქვეყნის ტერიტორიისგან და მას ჰყავს 500 მილიონზე მეტი მომხმარებელი. ეს არის სივრცე შიდა საზღვრების გარეშე და სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გარეშე. მარტივად რომ ვთქვათ, ის, რაც ლეგალურია ევროკავშირის ერთ წევრ ქვეყანაში (წარმოება, რეალიზება, გადაადგილება), ლეგალურია და შეუფერხებელია ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებში. როცა საუბარია ევროპისა და საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებზე, აუცილებელია ვახსენოთ **ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება.** 2016 წლის 1 ივლისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება ძალაში შევიდა. მას წინ უძღოდა რატიფიკაციის შრომატევადი პროცესი, რომელიც ორ წელზე ნაკლები გაგრძელდა და მასში მონაწილეობას იღებდა როგორც ევროპარლამენტი, ასევე ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნისა და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოები. უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმების რატიფიკაცია მცირე დროში დასრულდა, რაც ცალსახად მიუთითებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან საქართველოს ევროპული გზის მტკიცე მხარდაჭერაზე.

შეთანხმების ძირითადი ამოცანაა მოახდინოს ევროკავშირის ისეთი ღირებულებების სტიმულირება, როგორიცაა: დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები, მდგრადი განვითარება, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებთან უფრო მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. გარდა ამისა, ასოცირების შეთანხმება ასევე ითვალისწინებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას ისეთ სფეროებშიც, როგორებიცაა, მაგალითად: გარემოს დაცვა, სოციალური განვითარება და დაცვა, ტრანსპორტი, მომხმარებელთა დაცვა, განათლება, ახალგაზრდობა და კულტურა, მრეწველობა და ენერგეტიკა. დადებული ხელშეკრულების დახმარებით საქართველოს მიეცა საშუალება მაქსიმალურად გამოიყენოს ევროპული წამყვანი ქვეყნების გამოცდილება და აამაღლოს წარმოების ხარისხი, რაც სამომავლოდ დადებით ასახვას ჰპოვებს ექსპორტის ზრდაში.

ევროკავშირი ქვეყნებთან ასოცირების ხელშეკრულებას ძირითადად დებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო ან ადამიანის უფლებათა რეფორმების ვალდებულების სანაცვლოდ. ამ შემთხვევაში ქვეყანას შესაძლოა შესთავაზონ ტარიფებისგან თავისუფალი წვდომა ზოგიერთ ევროპულ ბაზარზე და ამ მხრივ ფინანსური თუ ტექნიკური დახმარება.

ასოცირების შეთანხმება ძირითადად 3 ნაწილად შეიძლება დაიყოს:

- პოლიტიკური თანამშრომლობა;
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (DCFTA);
- დარგობრივი თანამშრომლობა;

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურების ვაჭრობით ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო არეალს (სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და აგრეთვე ითვალისწინებს ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

DCFTA-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს

უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო თანდათანობით გახდება მიმზიდველი ქვეყანა უცხოელი ინვესტორებისათვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, DCFTA-ის ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ DCFTA-ის მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (ნიორი-კვოტის ფარგლებში) გარკვეული პირობების (სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტები) დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე.

ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს გარდაუვლად მოუწევს რეფორმების განხორციელება თითქმის ყველა სფეროში. ეს რეფორმები მიმართული იქნება ვაჭრობის კიდევ უფრო ლიბერალური პოლიტიკის შემოღებისაკენ, რითაც ჩვენი ქვეყანა ამჟამადაც გამოირჩევა. საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული სავაჭრო რეჟიმი აქვს. საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, 2006 წლის 1 სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0, 5 და 12%). საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე. რაც შეეხება ექსპორტის საკითხს, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. გამომდინარე იქიდან, რომ 1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველო იყენებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი საქართველოდან დღგ-თი არ იბეგრება. ამასთანავე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადის განაკვეთები ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე თანაბარია.

DCFTA ასევე მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს: სურსათის უვნებლობას, კონკურენციის პოლიტიკას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, ფინანსურ მომსახურებას და სხვ. და ითვალისწინებს საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის შესახებ კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. აქაედან გამომდინარე ევროინტეგრაციის ფარგლებში გასატარებელი რეფორმები გულისხობს საკანონმდებლო ნაწილსაც, სტანდარტების ნაწილსაც, ბიზნესის მენეჯმენტსაც, ხარისხსაც და აბსოლუტურად ყველა იმ რეგულაციას, რომელსაც ევროპული ბაზარი ითხოვს ნებისმიერი ექსპორტიორისგან. როგორც ყველა რეფორმას, ამ რეფორმასაც გააჩნია ერთგვარი "ხარკი" – რა თქმა უნდა, ქართულ ბიზნესს ცხოვრება პირველ ეტაპზე გაუძვირდება. მათ მოუწევთ სტანდარტების დაცვა ხარისხის მხრივ, შემადგენლობის მხრივ და სხვა, ამასთანავე ქვეყნას მოუწევს გაატაროს ძალიან მძლავრი ფინანსური ზომები იმისათვის, რომ პირველი, ტექნიკურად მოამზადოს ლაბორატორიები, ტექნიკური პირობები და სტანდარტები.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის გამოყოფს ფინანსურ მხარდაჭერას სხვადასხვა სექტორში რეფორმების განსახორციელებლად. მის მიერ გათვალისწინებული ფინანსური გამოყოფა გრანტის სახით და მისი მოცულობა 2014 წლიდან ყოველწლიურად საშუალოდ 100 მლნ. ევროს შეადგენს.[19] მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართველოსთვის უკვე ხელმისაწვდომია ევროკავშირის საფინანსო ინსტიტუტების ფინანსური პროდუქტები. ცალსახად აღინიშნება გააქტიურებული თანამშრომლობა ევროკავშირის ისეთ ფინანსურ ინსტიტუტებთან, როგორიცაა:

- ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)
- ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB) და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები.

გარდა ფინანსური მხარდაჭერის ზემოთ ჩამოთვლილი წყაროებისა, ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებაში საქართველოს დახმარებას გაუწევენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვა დონორები, საკუთარი დახმარების პროგრამების მეშვეობით (ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში). აქვე უნდა ითქვას, რომ ღრმა და

[19] "ევროკავშირის პროექტები საქართველოში", EASS : ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, 2018 წელი.

ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე არ აწესებს რაიმე სახის შეზღუდვას, საქართველომ სხვა ქვეყნებთან გააფორმოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები. პირიქით, თავისუფალი ვაჭრობის სივრცეები, მაგალითად, ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არის თურქეთი, ხელს უწყობს ვაჭრობის გაფართოებას, ასევე საქართველოს შეუძლია საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით აწარმოოს სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან, აზერბაიჯანთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, იაპონიასთან, ჩინეთთან ან სხვა ახლანდელ თუ მომავალ პარტნიორთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში.

რაც შეეხება ვაჭრობას ევროკავშირის ქვეყნებთან, 2014-2015 წლებში ევროკავშირის ბაზარზე დაახლოებით 50 დასახელების პროდუქტი გავიდა. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს გაჩნდა ახალი პროდუქტები, როგორიცაა გადამუშავებული და გაყინული ბოსტნეული, გაყინული თევზი, ზეთები, ბოსტნეულის წვენები და ექსტრაქტები. იმპორტზე გადასახადის გაუქმების შედეგად გაიზარდა იმ პროდუქტების ექსპორტი, რომლებზეც ვრცელდება სავაჭრო რეჟიმი. 2015-2016 წლიდან უკვე თანდათანობით ყველა საქონლისთვის იხსნება ევროპის ბაზარი. აქ არ არის რაიმე ჩამონათვალი, მაგრამ არის რამდენიმე საქონელი, რომელზეც ყურადღებაა გამახვილებული, მაგალითად – ნიორი. ბრიუსელმა მიიღო რეგულაციები ნიორთან, შაქრის ჭარხალთან, ხორბალთან და რძესთან დაკავშირებით. ეს არის სუბსიდირებული დარგები და განსაკუთრებით აკონტროლებენ მათ. მაგალითად, ნიორს თუ გარკვეულ რაოდენობაზე მეტს შევიტანთ ევროპაში, იწყება დემპინგური ფასების შემოწმება. რადგან ევროპა იცავს თავის ბაზარს. წლიურ უბაჟო სატარიფო კვოტას დაქვემდებარებული პროდუქტია ნიორი. აღნიშნული კვოტა 220 ტონას შეადგენს, რომელზე გადაჭარბების შემთხვევაშიც, საქართველოს საბაჟო გადასახადის გადახდა მოუწევს.[20]

[20] ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცევლი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, თბილისი, 2014 წელი.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საექსპორტო პოტერნციალის ამაღლების თანამედროვე გამოწვევები

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ფორმირების პრობლემები საქართველო - ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ფონზე

2019 წელს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 წელი გადის. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აქტიურად ხორციელდებოდა და მიმდინარეობს იმ ამოცანების შედეგების მონიტორინგი და ანალიზი, რომელიც განსაზღვრულია საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგით. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა რიგი პრობლემებისა, რომლებიც სამომავლოდ ხელს შეუშლის ქვეყანას თავისუფლად აწარმოოს მოლაპარაკებები ევროკავშირის ქვეყნებთან და აქტიურად დაიმკვიდროს ადგილი მის ბაზარზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა თავებში, ჩვენს ქვეყანას მრავალი საკანონმდებლო რეფორის გატარება მოუწია მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, თუმცა ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, საერთო პროგრესი არათანაბარია. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ რეფორმების დაგეგმვისა და განცხორციელების პროცესში მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს საჯარო დაწესებულებებში სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადამიანური და ფინანსური რესურსის ნაკლებობა.

ევროკავშირის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს სამართლიანობა და გამჭვირვალობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რა კუთხითაც სერიოზულ დაბრკოლებებს ვაწყდებით ქვეყანაში. მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის წესი კვლავ არ აკმაყოფილებს დამსახურების პრინციპით, ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძვნებულ სტანდარტს და პროცესი არ არის დასაბუთებული და გამჭვირვალე. ასევე, არ მომზადებულა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები ჯერ კიდევ არ რეგულირდება კანონით, რაც ამცირებს საბჭოს საქმიანობის შესახებ ანგარიშვალდებულებას, არ გაუმჯობესებულა

მისი საქმიანობის, გადაწყვეტილების მიღების, დასაბუთებისა და გამოქვეყნების პროცედურები. [21]

როგორც ჩანს, ერთიანად ყველა სფეროსთვის დამახასიათებელი საერთო პრობლემაა ცვლილებების მხოლოდ ფორმალური ხასიათი, რაც პრაქტიკაში სრულყოფილად ვერ სრულდება და შესაბამისად ნაკლებად აისახება საერთო კეთილდღეობაზე. მართლმსაჯულების სფეროში არ განხორციელებულა ძირითადი ინსტიტუტების რეფორმა, მსგავსი ვითარებაა გარემოს დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებშიც.

კიდევ ერთი პრობლემაა საზოგადოების მზაობა რეფორმებისთვის. ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით, საქართველო ვალდებულია ინტელექტუალური საკუთრების მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირისას დაუახლოვოს. რაც მოითხოვს ცვილილებებს საპატენტო კანონში, სასაქონლო ნიშნის შესახებ, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, დიზაინის შესახებ, წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ და პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ კანონებში. ამ მიმართულებით კანონი საკმაოდ კარგი და დახვეწილია, მთავარი პრობლემა მისი აღსრულებაა. აღსრულებას კი ხელს უშლის ამ მიმართულებით ცნობიერების დაბალი დონე როგორც საავტორო უფლებების მფლობელებში, ისე მის მოსარგებლეებში.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადების შემდეგ აქტიურად დაიწყო იმ კონკრეტული ხელშემშლელი ფაქტორების შესწავლა, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება პროდუქციის გატანას ევროპულ ბაზარზე და შემდგომ უკვე ადგილის საფუძვლიან დამკვიდრებას. აღნიშნული პრობლემები შესაძლოა, განსხვავდებოდეს პროდუქტების ჭრილში, თუმცა, აქ განვიხილავთ, იმ შემაფერხებელ ფაქტორებს, რასაც მსხვილი ექსპორტიორები ყველაზე ხშირად ასახელებენ, ასევე, ზოგადად, აგრარული სექტორის პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლის ადგილობრივ მწარმოებლებს გავიდნენ ევროკავშირის ბაზარზე.

პირველი და უმთავრესი შემაფერხებელი ფაქტორი ეს არის პროდუქციის დაბალი ხარისხი და არაერთგვაროვნება. სწორედ ხელშეკრულების მე-4 თავი გულისხმობს

[21] „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამკვლევი, თბილისი, 2014 წელი.

საქართველოს სურსათის უვნებლობის და ვეტერინარიის სფეროების რეგულაციების ევროკავშირის კანონდებლობასთან დაახლოებას წინასწარ გაწერილ ვადებში. სამწუხაროდ, საქართველოში წარმოებული პროდუქტების უმრავლესობა არ არის კონკურენტუნარიანი ევროკავშირის ბაზარზე, რადგან პროდუქტის ხარისხი არ არის შესაბამისობაში ევროკავშირის სტანდარტებთან. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს როგორც ხარისხიანი პროდუქტის შექმნისთვის შესაბამისი ცოდნის უქონლობა, ასევე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. პროდუქციის ხარისხის დადგენა ხდება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO)-ს მიერ, ხოლო იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს სურსათის უსაფრთხოების სტანდარტები, სურსათის მწარმოებელმა საწარმოებმა უნდა დანერგონ ISO 22000 სტანდარტი. ამჟამად ევროკავშირის ერთიან ბაზარზე დიდი მოთხოვნაა ორგანულ პროდუქტებზე, ასევე სტანდარტებით აკრძალულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმებიდან მიღებული გენომოდიფიცირებული ორგანიზმების ან პროდუქტის გამოყენება ორგანული პროდუქიის წარმოებისას.

რაც შეეხება არაერთგვაროვნებას, ამ პრობლემას უკვე წავაწყდით თაფლის ექსპორტის შემთხვევაში. ევროპის ბაზრისთვის შეთავაზებული თაფლი აუცილებლად მონოფლორული, ანუ ერთი სახეობის მცენარისგან უნდა იყოს მიღებული. საქართველოში კი ძირითადად პოლიფლორული - რამდენიმე სახეობის მცენარის ყვავილისგან მიღებული თაფლი გვაქვს. გარდა ამ პრობლემისა რთულია მოცულობის უზრუნველყოფაც.[22] გამომდინარე იქედან, რომ თაფლის თითოეულ მწარმოებელს არ შეუძლია სტაბილურად დიდი რაოდენობის ერთი სახეობის თაფლის მიწოდება, შესაძლოა მეფუტკრეთა გაერთიანების იდეის განხილვაც. თუმცა, აქაც რიგი გამოწვევები დგას - ისინი იშვიათად ენდობიან ერთმანეთს და მათ მიერ წარმოებული თაფლის ხარისხს, რადგან ხშირად ფუტკარს გარკვეული დაავადებების თავიდან ასაცილებლად ანტიბიოტიკებს აწვდიან, ნივთიერება კი თაფლშიც გადადის, რაც მიუღებელია ევროპული ბაზრისთვის. სწორედ ეს ქმნის ორმაგ დაბრკოლებას პირველი, რომ ვერ ხერხდება ერთგვაროვანი პროდუქციის მიწოდება და მეორე იზრდება დაბალი ხარისხის პროდუქციის წარმოების რისკი.

[22] ვარდიაშვილი მ., თაფლის წარმოება, ექსპორტი და დამაბრკოლებელი ფაქტორები, თბილისი, 2015 წელი

აქვე შევეხებით იმ თემას, რომ მნიშვნელოვნად შემაფერხებელია ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატების უქონლობა, რომლის აღება ისედაც მცირემასშტაბიანი ფერმერებისთვის დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. 2017 წლის მცირე და საშუალო საწარმოების გამოკითხვის მიხედვით, 27 გამოკითხულ საწარმოთა 73%-ს არანაირი სერტიფიკატი ან ხარისხის სტანდარტი არ გააჩნია. ქვეყანაში ცალსახად შეინიშნება ლაბორატორიების სიმცირე/ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით რეგიონებში. სერიოზულ დანახარჯებთან არის დაკავშირებული სტანდარტებთან მიახლოება და ტექნოლოგიური გადაიარაღების პროცესიც. ფერმერებს არ აქვთ საბრუნავი საშუალებები და არ მიუწვდებათ ხელი ფინანსებზე. შედეგად, წარმოების მცირე მოცულობების გამო ფერმერები ვერ გადიან ევროკავშირის ბაზარზე, რომელიც უწყვეტ მიწოდებას და ხარისხიან პროდუქტს ითხოვს, ამიტომ ისინი, ძირითადად, ადგილობრივ ბაზარზე ფოკუსირდებიან. თუმცა, აქ ახალ პრობლემას აწყდებიან - იმპორტს კონკურენციას ვერ უწევენ. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის, ფერმერთა ცოდნის ამაღლებასა და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო მომსახურების გაწევასთან ერთად პროფესიული სწავლების ხარისხისა და უმაღლესი განათლების გაუმჯობესების ხელშეწყობაც არის დასახელებული.

საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის ზრდის ხელისშემშლელი კიდევ ერთი ფაქტორია საბრუნავი საშუალებების სიმცირე და ფინანსებზე ხელმისაწვდობის პრობლემა. ექსპორტიორებს სჭირდებათ საბრუნავი საშუალებები იმისათვის, რომ შეიძინონ ხილ-ბოსტნეული ფერმერებისგან, თუმცა, სახეზეა საბრუნავი კაპიტალის სიმცირე. როდესაც ქართველ ექსპორტიორს უნდა ევროპის ბაზარზე შესვლა, იგი უნდა იყოს პროდუქციის სტაბილური მიმწოდებელი, იმავდროულად, კონკურენცია უნდა გაუწიოს სხვა მიმწოდებლებს, რაც გამოიხატება დიდი მოცულობებით მიწოდებაში, რაც ამ ეტაპზე ჩვენი ქვეყნისთვის წარმოუდგენელია. საწარმოთა 28%-ს დაქირავებული ჰყავს 5 ან ნაკლები თანამშრომელი, 46%-ს 6-დან 15 დასაქმებული ჰყავს, 12%-ს კი 16-დან 30-მდე დასაქმებული. გამოკითხულთა მხოლოდ 14%-ს ჰყავს 30 თანამშეომელზე მეტი. [23]ზოგადად, ასეთი მცირე ზომის საწარმოებს არ შეუძლიათ იმ ოდენობის პროდუქტის წარმოება, რაც ევროკავშირის საცალო ობიექტების ან მწარმოებლების მოთხოვნას

[23] DCFTA-ს საკომუნიკაციო სახელმძღვანელო საქართველოსთვის, ნაწილი II. ექსპორტი ევროკავშირის ერთიან ბაზარზე

დააკმაყოფილებს. მაგრამ, თუკი ქართველი მცირე მეწარმეები კოოპერატივებს ჩამოაყალიბებენ, მათ მეტი შანსი ექნებათ მიჰყოდონ საკუთარი პროდუქცია ევროკავშირში მოქმედ საცალო ვაჭრობის ქსელებს ან გადამამუშავებელი კომპანიებს, თუმცა, ამ შემთხვევაში, პროდუქციის მუდმივი ხარისხის შენარჩუნება უფრო რთულია, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ რისკ-ფაქტორს წარმოადგენს.

იმისათვის, რომ არსებული ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულებით შექმნილი შესაძლებლობები სრულად იქნეს გამოყენებული საჭიროა ხელისუფლებამ ითანამშრომლოს მცირე მეწარმეებთან, მოუსმინოს და გაიგოს მათი შეხედულებები აღნიშნულთან დაკავშირებით. თუ სახელმწიფოს პოლიტიკა არ იქნება მორგებული მცირე მეწარმეთა საჭიროებებზე, ექსპორტის ზრდის შემთხვევაშიც მცირე მეწარმეები ვერ მიიღებენ ვერანაირ სარგებელს და ამ უპირატესობით მხოლოდ მხვილი საწარმოები ისარგებლებენ.

ამდენად, აუცილებელია სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარება ევროკავშირის ბაზარზე ინტეგრაციასთან ერთად. ამ დარგში არსებული გამოწვევები ქმნის სოფლის მეურნეობის სექტორის მოდერნიზაციის საჭიროებას, რაც მოკლევადიან პერსპექტივაში რთული ამოცანაა. ეს პროცესი მოითხოვს დიდ ფინანსურ რესურსებს, სწორ დაგეგმვასა და მაღალ პროფესიონალიზმს.

საქართველოში საწარმოო ბიზნესგარემოსთან და ზოგადად ბიზნესთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის, რომელიც დღემდე მოსაგვარებელია, მწვავედ დგას კონკურენციის პოლიტიკაც. ევროპული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჯანსაღი კონკურენცის და ბიზნესისთვის თანაბარი პირობების გარეშე რთულია წარმატების მიღწევა. თავისუფალი კონკურენცია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ცალკეული დარგებისა და კომპანიების ეფექტურ განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ინტეგრაციისთვის ერთერთი განმაპირობებელი ფაქტორია. ამდენად, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციის პოლიტიკის განსაზღვრა და მისი განვითარების ხელშეწყობა, ბაზრის მონიტორინგის განხორციელება.

თავისუფალი კონკურენციის განვითარებას ხელს უშლის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კარტელური შეთანხმებები, დემპინგური ფასის გამოყენება, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კანონსაწინააღმდეგო შერწყმა და ა.შ.

კონკურენციის წესები ევროკომისიამ ევროკავშირის ხელშეკრულებებში წარმოადგინა, რითაც ბაზრის ყველა მონაწილე თანაბარ პირობებში აღმოჩნდა, რამაც ჩამოაყალიბა ჯანსაღი კონკურენციული გარემო.

დღის წესრიგში დადგა სუსრათის უვებლობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაც. ამ მხრივ აქამდე არ იყო დანერგილი გარკვეული სტანდარტები, რამაც დიდი პრობლემა შეუქმნა ეროვნულ პროდუქციას დაემკვიდრებინა ადგილი ევროპულ ბაზარზე.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მთავარი მიზანია საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირის შიდა ბაზარზე. ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შექმნა, ყველანაირი ტარიფების გაუქმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის იმპორტსა და ექსპორტზე და კაპიტალის შეუზღუდავი მიმოქცევა, რისთვისაც აუცილებელია შიდა კანონმდებლობის გადახედვა და ევროკავშირის იმ რეგულაციების დანერგვა, რომელიც არეგულირებს სავაჭრო ურთიერთობებს.

ამ სტანდარტების დანერგვა გულისხმობს 2030 წლისთვის ევროკავშირის 375 დირექტივის და რეგულაციის მიღებას. 2010 წელს დაიგეგმა, რომ 2014 წლამდე მოხდებოდა 43 დირექტივის და რეგულაციის მიღება, მაგრამ ამ ეტაპზე ეს პროცესი ფადადებულია 2020 წლამდე.

გარდა ზემოაღნიშნულისა აუცილებელია რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანა არაერთ სხვა სფეროში. მაგალითად როგორიცაა: ტექნიკური სტანდარტები, სავაჭრო პროცედურები და ა.შ. ამასთან უნდა მოხდეს კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის და საგადასახადო რეგულაციების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზება.

საქართველოს ძირითადი საექსპოეტო პროდუქციის მოცულობის გადიდების შესაძლებლობები

როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ, საქართველოს გააჩნია იდეალური გეოპოლიტიკური მდგომარეობა და საკმარისი რესურსები იმისათვის, რომ დაიკავოს ბევრად უფრო მოწინავე პოზიციები საერთაშორისო ვაჭრობაში.

ამ მიზნის მიღწევა რამოდენიმე გზითაა შესაძლებელი. პირველი - კიდევ უფრო განავითაროს როგორც ის დარგები სადაც მას კონკურენტული უპირატესობა გააჩნია, ასევე ის ნაკლებ ცნობილი დარგები სადაც ანალოგიურად შეინიშნება განვითარების სერიოდული პოტენციალი. მეორე - აითვისოს ახალი ბაზრები, სადაც ჯერ არ არის წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის პროდუქცია, მესამე - გაზარდოს ის საქონელთა ნაირსახეობა, რომელიც გადის რეექსპორტზე და ბოლო და ყველაზე მთავარი - ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში.

იმისთვის, რომ მეტი პროდუქცია იყოს ექსპორტირებული ქვეყნიდან, უპირველესია, შევძლოთ მეტი საქონლის წარმოება. ამჟამად ამ შესაძლებლობის სიმწირე დიდ ტვირთად აწევს საქართველოს ექსპორტს, როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობაში. არსებობს გადამამუშავებელი ქარხნები რომელთაც შეუძლიათ მეტი საქონლის წარმოება და ექსპორტირება, თუმცა არ აქვთ საკმარისი ნედლეული, რათა სრულად აითვისონ საკუთარი პოტენციალი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეფიციტს განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: [24]

<u>საკუთრებაში არსებული მიწების დანაწევრება.</u> საკუთრებაში არსებული მიწების 75% შედგება 1 ჰა-ზე ნაკლები მიწის ნაკვეთებისგან, მიწების მხოლოდ 0,16% შედგება 50 ჰა-ზე მეტი მიწის ნაკვეთებისგან.[25] პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით კაპიტალის ინვესტიცია ხშირად არ არის საკმარისი ასეთი მცირე ნაკვეთებისთვის. მეტიც, რთული და ხარჯიანია გადამამუშავებლებისა და ვაჭრებისთვის ბევრ მცირე მწარმოებელთან ინდივიდუალური ხელშეკრულების გაფორმება, საკმარისი რაოდენობის სურსათის

[24] მაქსიმოვი ა. საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის პოტენციალის ათვისება, გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველო და ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, კვლევითი ნაშრომების სერიები [PP/01/2017].

[25] საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2015 წ.). საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, 2015-2020 წწ. გვ. 12

პროდუქტების შეგროვება, რომლებიც არის ჰომოგენური და აკმაყოფილებს იმპორტიორების სერთიფიცირებული ხარისხისა და თვალსაჩინოების მოთხოვნებს.

<u>კულტურებისა და ჯიშების მწირი დივერსიფიკაცია.</u> ქართული ხილის ბაღებში ჭარბობს შეზღუდული რაოდენობის ჯიშები, ასევე გვხვდება საადრეო და საგვიანო კულტურები. ჯიშების მცირე რაოდენობაზე კონცენტრირება ამცირებს მოსავლის სეზონის ხანგრძლივობას და იწვევს გამოხატულ პიკებს წარმოებასა და გადამუშავებაში. შედეგად, გვაქვს შედარებით მოკლე და მკვეთრი ჭარბი მიწოდება ბაზრებზე, რაც ზეწოლას ახდენს ფასებზე, ამიტომ გადამამუშავებელი და სავაჭრო ინფრასტრუქტურების გამოყენება უფრო სეზონური ხდება, რაც უარყოფითად მოქმედებს შესაძლებლობების ათვისებასა (ხანგრძლივი უმოქმედო პერიოდები) და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე.

<u>ძველი პლანტაციებისა და ბაღების დეგრადაცია.</u> მანდარინის ბაღები ამ პრობლემის საუკეთესო მაგალითია. ამ ბაღების უმეტესობა 1930-იან წლებში გაშენდა, რის გამოც დღეს ხეების 30% 70-80 წლისაა[26] , როდესაც მანდარინის ხის პროდუქტიულობის პერიოდი 40-50 წელია. ახალი ინვესტიციების გარეშე, მოსავლიანობა უახლოეს მომავალში ჩამოიშლება, რაც გამოიწვევს ბაღების საბოლოოდ დეგრადირებასა და ახალი მანდარინის ექსპორტის მოსპობას. თხილთან, ატამთან, ვაშლსა და სხვა ხილთან დაკავშირებული მდგომარეობა ზოგადად უკეთესია: უმეტეს შემთხვევაში, ხეები შედარებით ახალგაზრდაა. თუმცა არსებობს მაღალი ხარისხის თესლისა და სანერგე მასალის დეფიციტი, ფერმერები ხშირად იყენებენ იაფფასიან დაბალი ხარისხის თესლსა და ნერგებს. ეს იწვევს მოსავლის შემცირებას, მავნებლებისა და მცენარეთა დაავადებებისადმი დაუცველობასა და წარმოების დაბალ ხარისხს. მოკლევადიანი დაგეგმარება და მიკროზონების დარღვევა. ქართველი ფერმერებს ხშირად მოჰყავდათ ისეთი ჯიშები, რომელბიც არ ესადაგებოდა ადგილობრივ კლიმატურ პირობებსა და ნიადაგის მახასიათებლებს. ფერმერები ხშირად ეძებენ მოკლევადიან მოგებას და არ ითვალისწინებენ, რომ სხვა ჯიშები პროდუქტიულია გრძელვადიან პერიოდში, ისინი არც იმაზე ფიქრობენ, რამდენად შეეფერება აღნიშნული ჯიშები ადგილობრივ აგრარულ და კლიმატურ პირობებს

[26] სტივ გროსი (2014 წ.). კვლევა აჭარის სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობისა და ექსპორტის წახალისების პოლიტიკის შესახებ. UNDP, გვ. 17.

ცოდნის სიმწირე. საქართველოში ცოტა ფერმერს აქვს ელემენტარული ფორმალური განათლება ან გაუვლია ტრენინგი მოსავლის წარმოებასა და ფერმის მართვაში. ზოგიერთმა განათლება საბჭოთა პერიოდში მიიღო, თუმცა ამ ცოდნის დიდი ნაწილი დღეისთვის მოძველებულია და ეფუძნება ფერმისა და წარმოების იმ წყობას, რომელიც დიდი ხანია აღარ არსებობს. საქართველოში სოფლის მეურნეობის კვლევებისა და საგანმანათლებლო სისტემის დაფინანსება მწირია და ვერ აწვდის ფერმერებს სურსათის ღირებულებათა ჯაჭვებში კონკურეტულობისთვის საჭირო ტრენინგებსა და ექსტენციის მომსახურებას. უამრავი ფერმერი არ ენდობა ინოვაციებს და სპეციალსტთა რეკომენდაციებს, იყენებენ მოკლევადიან დაგეგმარებას და ურჩევნიათ არაფორმალური ურთიერთობები პარტნიორებთან („ბიზნესი დაუწერელი წესებით“).

მავნებლებისა და მცენარეთა დაავადებებისადმი დაუცველობა. დარგული მცენარეების ვიწრო და ხშირად შეუფერებელი სპექტრი, დეგრადირებული და გადაბერებული პლანტაციები და ბაღები, დაბალი ხარისხის თესლი და სანერგე მასალები და ცოდნის სიმწირე ქართულ კულტურებს მავნებლებისა და მცენარეთა დაავადებებისადმი უკიდურესად დაუცველს ხდის. ამ პრობლემას აშკარად შევეჯახეთ თხილთან დაკავშირებით, რაც არის ქვეყნის სურსათის ევროკავშირის ბაზრებზე ექსპორტის საყრდენი. მავლებლები საფრთხეს უქმნიან მოცულობას, ხარისხს და, შედეგად, საქართველოს სურსათის ექსპორტის სანდოობასა და პრესტიჟს.

მთელი ამ რიგი პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა, სპეციალური პროგრამების შემუშავება და არგოსფეროში ცოდნის ასამაღლებელი ტრენინგების ჩატარება ფერმერებისთვის. შემდეგი ეტაპი უკვე არის სახელმწიფოს ჩართულობა ქართული პროდუქციის ცნობადობის ამაღლების მიზნით. ქართული პროდუქციის შეღწევა ევროპის ბაზარზე ბევრად რთულია, რადგან მისი ცნობადობა არის ნაკლები და ამ მიმართულებით აქტიური მარკეტინგია საჭირო. ევროპის ბაზრისგან განსხვავებით, პოსტსოციალისტური ქვეყნები უკეთ იცნობენ ქართულ პროდუქციას, რაც აადვილებს მათთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას. ამ ეტაპზე აუციელებელია, ქვეყანა აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო გამოფენებსა და ფესტივალებში, სახლემწიფომ უზრუნველყოს ფერმერთა და მეწარმეთა დროული ინფორმირება მათ შესახებ, ასევე ჩატარდეს ბიზნეს ფორუმები ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ტრენინგ-სემინარების ორგანიზება

პროდუქციის სწორი კუთხით წარსადგენად, ქართულ პროდუქტს შეუძლია დაიკავოს ნატურალური, ბიო პროდუქტების ნიშა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის ქვეყნებში. ამ ნიშის დაკავების შემთხვევაში ქართულ პროდუქციას აქვს შანსი გაიმყაროს პოზიციები ევროპულ ბაზარზე და ერთი-ორად გაზარდოს ექსპორტის როგორც რაოდენობა, ასევე მთლიანი ღირებულება.

ბოლო წლებში ქართული პროდუქცია წარდგენილი იყო რამოდენიმე ცნობილ საერთაშორისო გამოფენაზე - 2017 წელს კორეის რესპუბლიკის ქალაქ ჯონჯუში ფერმენტირებული საკვების მე-15 საერთაშორისო გამოფენაზე **IFFE (International Fermented Food EXPO) 2017**, სადაც გავაცანით ქართული აჯიკა, თაფლი, ღვინო, ბრენდი, ჭაჭა, ჩაი, წყაროს წყლები, წვენები, ჩურჩხელა, ბაქმაზი და ენერგეტიკული სასმელები. ამავე წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებითა და ხელშეწყობით ქართული საკვები და სასმელი წარდგენილი იყო იაპონიაში, ტოკიოში გამოფენაზე - **FOODEX JAPAN 2017**.

2018 წელს ჩინეთის ქალაქ შანხაიში გაიმართა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა **„Prowine China-2018“**. ეს ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბური გამოფენაა აზიის რეგიონში რომელსაც 100 000-ზე მეტი ვიზიტორი (მათ შორის დისტრიბუტორი, იმპორტიორი და ღვინის პროფესიონალი) ესწრება. აქვე უნდა აღინიშნოს ქართული ღვინისთვის ჩინეთი ძალიან მნიშვნელოვანი ბაზარია, სადაც ქართული ღვინის გაყიდვები ყოველწლიურად იზრდება (მას მესამე ადგილი უკავია ექსპორტიორ ქვეყნების რიცხვში) და აუცილებელია ვახსენოთ, რომ აქტიური მოლაპარაკებების შედეგად უკვე რამოდენიმე ქართული ღვინის სახლია გახსნილი ქვეყანაში.

2019 წელს ბერლინში საერთაშორისო მწვანე კვირეულის **(International Green Week)** გამოფენაზე ევროპელ მომხმარებელს პირველად მიეცა ქართული თაფლის დაგემოვნების საშუალება და ეროვნული პროდუქციისთვის ასევე წარმატებული აღმოჩნდა დიდ ბრიტანეთში, ინგლისში გამართული საკვები და სასმელი პროდუქციის წამყვანი საერთაშორისო გამოფენა **„IFE 2019”**, სადაც ადგილზე ქართულმა კომპანიებმა 680 000 დოლარის ღირებულების შეკვეთა მიიღეს და შედეგად, უფრო მეტი ქართული კომპანია განახორციელებს ექსპორტს დიდი ბრიტანეთის ბაზარზე. „IFE 2019”-ზე

ქართული წარმოების ქვევრის ღვინო, ჯემები, მურაბები, სოუსები, სუნელები, დაფნის ფოთოლი, თხილი, ჩაი და სხვა პროდუქცია იყო გამოფენილი, ასევე საფერავის ჩაი, რომელიც ინოვაციური პროდუქტია.

რადგან ვახსენეთ ღვინის, იგივე საფერავის ჩაი, აქვე ვისაუბროთ ამ პროდუქტის პოტენციალზე ევროპულ ბაზარზე და მის მნიშვნელოვნებაზე ჩვენი ქვეყნისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პროდუქტის ანალოგი არამც თუ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში არ არსებობს. ის ქართველი ფარმაცევტის ირაკლი ნატროშვილის გამოგონებაა. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები პატენტის მიღებაზე, რათა საქართველო ღვინის ჩაის მწარმოებელი პირველი ქვეყანა გახდეს. კვლევის შედეგად აღმოჩენილია, რომ გადამუშავების პროცესში მიღებულ პროდუქციას გააჩნია არანაკლები სასარგებლო თვისებები, ვიდრე ღვინოშია. ღვინის ჩაი მაღალტექნოლოგიური მეთოდით საფერავის ყურძნის, წიპწის და ღვინის შერევის შედეგად მზადდება, ის გემოთი ღვინოს უტოლდება, ხოლო მისი ყველა სასარგებლო თვისება ალკოპოლის გარეშეა შენარჩუნებული. ეს ყოველივე პროდუქტს ერთი-ორად საინტერესოს ხდის მუსლიმანური ქვეყნებისთვის, სადაც ალკოჰოლის მიღება აკრძალულია. ამ ეტაპზე აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა მწარმოებლისთვის. ქვეყნისთვის ყოველთვის სერიოზული პოტენციალის მატარებელია ის პროდუქტი რომელიც ინოვაციაა მსოფლიო ბაზარზე და ანალოგი არ მოეპოვება. ამიტომ, იდეის სწორი მიმართულებით განვითარების შემთხვევაში, შესაძლოა საქართველოს სერიოზული შემოსავლები გაუჩნდეს ამ პროდუქტის ექსპორტიდან.

ინოვაციებთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ ის პროდუქცია და ბაზრები რომელსაც გააჩნია ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პოტენციალი, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო მათი დიდი რაოდენობით ექსპორტი ამ ეტაპზე ვერ ხერხდება. 2015 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეადგინა ექსპორტის პოტენციალის მქონე 21 პრიორიტეტული პროდუქტის სია: ვაშლი, თხილი, მოცვი, ბალი, მანდარინი, ატამი, ხურმა, კიტრი, პომიდორი, ხახვი, სტაფილო, მწვანილი, კარტოფილი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი, ღორის ხორცი, ფრინველის ხორცი, მტკნარი წყლის თევზი, რძის პროდუქტები, თაფლი, ჩაი და ხორბალი. როგორც ჩანს მათ შორის მოხვდა ის პროდუქტებიც, რომლებიც ჯერ არ გასულა ევროპულ ბაზარზე, თუმცა მიიჩნევა, რომ ქვეყანას მათი საშუალებით ექსპორტის გაზრდის რეალური შესაძლებლობა გააჩნია. აქვეე

უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის შემდეგ განახლებული ჩამონათვალი სამინისტროს არ შემოუთავაზებია და ასევე არც მნიშვნელოვანი ცვლილებები არ აღნიშნულა ზემოთ ჩამოთვლილი დარგების განვითარებასა და ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით.

ქვეყნისთვის საექსპორტოდ პრიორიტეტულ პროდუქტად შეიძლება მივიჩნიოთ ხილის ჩირიც. ამ ეტაპზე ევროკავშირი მსოფლიოში მისი ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელია. ის ძირითადად, ქლიავის, ვაშლის, ხურმის, ფინიკის, ბანანის, ლეღვის, გრეიფრუტის, ფორთოხლის, გარგარისა და მსხლის ჩირის იმპორტი ხდება, ხოლო მის ყველაზე დიდ მომმარაგებელს (25%) დიდი ბრიტანეთი წარმოადგენს. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს ხურმის ჩირი, რომელიც საკმაოდ ძნელი საშოვნელია და ძვირადაც ფასობს. ხურმა საექსპორტოდ იდეალური პროდუქტია, რადგან მისი მოყვენა იოლია და მის მოვლასაც ნაკლები ფინანსები სჭირდება, რადგან სხვა ხილთან შედარებით ნაკლებ მოვლას და სასუქს მოითხოვს. ერთადერთი პრობლემა, რაც ხელს უშლის მოყვანას - სეტყვაა, რომელიც მას სარეალიზაციოდ უვარგისს ხდის. ამ შემთხვევაში მსგავსი ნაყოფის ჩირად დამზადება გამოსავლად შეიძლება იყოს მიჩნეული. გარდა ხურმისა, სხვა მრავალი ხილისა და ბოსტნეულის ჩირის წარმოებაცაა შესაძლებელი, რა მხრივაც სერიოზული სიახლეები შეინიშნება. თუ წლების წინ საქართველოში ჩირი მზადდებოდა ბუნებრივი გამოშრობის გზით რის გამოც პროდუქცია კარგავდა ფერს და კომერციულადაც ნაკლებად მიმზიდველი იყო, დღეს უკვე საწარმოებია გახსნილი და უახლოეს მომავალში კახეთში კიდევ ერთი მაღალტექნოლოგიური ჩირის საწარმოს აშენება იგეგმება. ეს წინგადადგმული ნაბიჯია ამ დარგის გასავითარებლად, რაც მომავალში აუცილებლად სერიოზული შემოსავლების მომტანი აღმოჩნდება ქვეყნისათვის.

ასევე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელია ჩაიც. სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის წინ საქართველო მსოფლიოს მასშტაბით ჩაის მწარმოებელთა ლიდერ ოთხეულში შედიოდა ჩინეთის, ინდოეთის და შრი-ლანკას შემდეგ. ქართული ჩაი საბჭოთა კავშირის ჩაის ბაზრის 87%-ს იკავებდა, დღეს კი ჩაის პლანტაციების 80% გატყევებულია და შიდა მოხმარების მხოლოდ 3% აწარმოებს, ხოლო ათასობით ტონა ჩაი იმპორტით შემოდის. მიუხედავად მოცემული მაჩვენებლებისა არსებობს იმის შანსი რომ გატყევებული პლანტაციების 50%-მდე რაოდენობა აღდგეს და ქვეყანა კვლავ გახდეს ჩაის ექსპორტზე ორიენტირებული. ამის

ძირითად მოტივად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მსოფლიოში ბიო ჩაის დეფიციტია, ხოლო საქართველოს შეუძლია კლიმატური პირობებიდან გამომდინარე (მავნებელი მწერებისგან დაავედების რისკი ნაკლებია) პესტიციდების გამოყენება მინიმუმამდე დაიყვანოს. დარგის სპეციალისტების თქმით ქართულ ჩაიში ნაკლები ექსტრაქტულობაა, ანუ კოფეინის და ტანინის შემცველობა მცირე დოზითაა, რის გამოც დღის განმავლობაში ქართული ჩაის მრავალჯერადი მოხმარება მავნებელი არ არის ჯანმრთელობისთვის. გამომდინარე იქიდან რომ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში თბილი ჰავაა, ჩაის მოხმარება მინიმალურამდეა დაყვანილი, ამიტომ ქართული ჩაის ექსპორტი ჩეხეთის, პოლონეთის, სლოვაკეთის, გერმანიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის ბევრად უფრო რეალური და ეფექტიანი იქნება.

ჩაის ექსპორტის განვითარებას რეალურს ხდის ისიც, რომ ეს უკანასკნელი არ მოითხოვს რთული სტანდარტების გავლას თაფლისა და სხვა მრავალი პროდუქტისგან განსხვავებით. მიუხედავად ამისა ქართული ჩაის ხარისხი მაინც საკმაოდ დაბალია რაც პრობლემას ჰქმნის ექსპორტის დროს. სიტუაციას ამძიმებს დარგის სპეციალისტების დეფიციტიც და საკმარისი ცოდნის არარსებობაც. სახელმწიფოსგან აუცილებელია მხარდაჭერა და დარგის წახალისება რაც თავის თავში გულისხმობს როგორც ტექნიკურ დახმარებას, ასევე სპეციალისების გადამზადებისთვის შემუშავებულ პროგრამებს.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, საქართველოს მართლაც რომ უდიდესი პოტენციალი გააჩნია, თითქმის ყველა დარგსა თუ სფეროში შეიძლება მოიძიოს ის პროდუქცია რომელიც სამომავლოდ მოთხოვნადი შეიძლება გავხადოთ ევროპულ ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, ამ მიმართულებით სავაჭრო სალდო ჯერჯერობით კვლავ უარყოფითია. ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია: თხილი, ყურძნის ნატურალური ღვინოები, სპირტიანი სასმელები, მინერალური მტკნარი წყლები. მათი წილი აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან ექსპორტში 70%-მდე აღწევს. დარგის მდგრადი განვითარებისათვის და ქვეყნისთვის მეტი შემოსავლის გენერირებისათვის მნიშვნელოვანია საექსპორტო პროდუქციის და ბაზრების შემდგომი დივერსიფიკაცია. სწორად უნდა შეირჩეს ის ბაზარი რომელზეც გასაყიდად გავა ქართული პროდუქტი და შემუშავდეს სწორი სამოქმედო გეგმა მისი პოპულარიზაციისათვის. გამომდინარე იქედან, რომ სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს ევროპის ბაზრის სრულ

გაჯერებას მცირე მოსავლიანობის პირობებში, აუცილებელია ის მცირე რაოდენობის საქონელიც ისეთ ბაზარზე რეალიზდეს, სადაც ფასი ყველაზე მაღალი და მისაღებია. ეს ყოველივე თავისთავად მოითხოვს მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას, რისი პრობლემაც, ცხადია, უკლებლივ ყველა დარგში შეინიშნება, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დღის წესრიგში პირველი სწორედ ამ საკითხის მოგვარება დავაყენოთ.

დარგთა განვითარებას სერიოზული შრომა, ჩართულობა და სამმაგი თანამშრომლობა სჭირდება მთავრობის, დონორებისა და ბიზნესსექტორის მხრიდან. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ექსპორტის გაფართოება და დივერსიფიცირება მაინც მეტწილად კერძო სექტორის პრეროგატივაა. კომპანიების მიერ საექსპორტო ბაზრების და მათზე არსებული მოთხოვნების შეფასებასა და გამოვლენაში მთავრობას შეუძლია იყოს ქმედითი პარტნიორი და შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი. სწორედ მთავრობის პრეროგატივაა როგორც არსებულ, ისე პოტენციურ სავაჭრო პარტნიორებთან გააღრმავოს და განავითაროს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები და დაიცვას საქართველოს ექსპორტიორების ინტერესების საერთაშორისო ბაზრებზე.[27] გარდა ამისა სახელმწიფოს შეუძლია ხელი შეუწყოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვასაც სოფლის მეურნეობის დარგში, რაც თავისთავად განავითარებს ექსპორტს და დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. სამუწახოდ, ქართველ ფერმერებს არ გააჩნიათ არც საკამარისი ფინანსური რესურსები და არც შესაბამისი გამოცდილება იმისთვის, რომ აქტიურად დაამუშაონ ქართული მიწები და გაზარდონ წარმოება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი უმთავრესი დადებით ეფექტად კი მიიჩნევა პროდუქტიულობის ზრდა თანამედროვე, გაუმჯობესებულ ტექნოლოგიებზე წვდომის საშუალებით. ამასთანავე, აუცილებელია მათი საექსპორტო ან იმპორტჩამანაცვლებელი პოტენციალის მქონე სექტორებში კონცენტრირება. ამ მიმართულებით, აუცილებელი იქნება სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური გარემოს შექმნა, საკუთრების უფლების დაცვის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და კვალიფიციური მუშახელის მომზადება/გადამზადება.

[27] საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, გვ. 44,

საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას რიგი ფაქტორები აფერხებს, კერძოდ:[28]

- მიწის დანაწევრების და რეგისტრირების პრობლემები;
- მიწის პრივატიზება და მთავრობის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებისთვის მიყიდვაზე დაწესებული შეზღუდვები;
- მიგრაციული პოლიტიკა, რომელმაც დამატებითი ბარიერები შეუქმნა ინვესტიციების ზრდას.

მიუხედავად ამ შეზღუდვებისა კარგად უნდა გადაიხედოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემის პოლიტიკა უცხოელთათვის, რაც შეიძლება ყველაზე ოპტიმალურ გამოსავლად მივიჩნიოთ. აუცილებელია აუთვისებელი და დაუმუშავებელი მიწების დროულად გამოყენება, რადგან კლიმატური პირობებიდან გაომდინარე ქართულ მიწაში უდიდესი საექსპორტო პოტენციალი დევს, რისი ბოლომდე გამოყენებაცაა აუცილებელი. უცხოურ ინვესტიციებს თან მოჰყვება რიგი დადებითი ცვლილებები რაც დადებით ზეგავლენას იქონიებს დარგის განვითარებაზე:

- გამომუშავების ზრდა;
- პროდუქციის წარმოების ხარჯების შემცირება;
- ავრომატიზაცია, რობოტიზაცია და ტექნიკური პროცესის სრული მოდერნიზაცია;
- უცხოური გამოცდილების გაზიარება;
- ბაზარზე პოზიციების გამყარება;

უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა სახელმწიფოს პრეროგატივაა. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, რომელიც ხშირ შემთხვევაში მალფუჭებადია, აუცილებელია მცირე დროში მისი დასაწყობება, გატანა და რეალიზება საზღვრებს გარეთ. იმისთვის რომ ქვეყანა მიმზიდველი გახდეს ინვესტორებისთვის, საჭიროა მან მოახდინოს საკუთარი სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემის (საზღვაო, სარკინიგზო, საგზაო-საავტომობილო და საჰაერო სისტემები)

[28] მცირე ფერმერულ მეურნეობებზე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ზეგავლენის კვლევა, Economic Policy Research Center, გვ. 32, თბილისი, 2016 წელი,

სიღრმისეული ინტეგრაცია საერთაშორისო ლოჯისტიკურ სისტემებში რისი პოტენციალიც მას რალურად გააჩნია გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე.

გარდა უცხოელი ინვესტორების ჩართულობისა, აუცილებელია ადგილობრივი მეწარმეების გაერთიანება და გააქტიურება, რაც კოოპერატივების ჩამოყალიბების გზითაა შესაძლებელი. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის თანახმად, კოოპერატივი ეწოდება წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებულ ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილ საზოგადოებას. კოოპერატივის შექმნის შესაძლებლობა მაღალმთიან რეგიონებში სამ გლეხს, ხოლო საქართველოს სხვა ნაწილში ხუთს გლეხს შეუძლია. [29]მას რიგი უპირატესობები გააჩნია:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრებს შემოსავალი მეტი აქვთ, ხარჯი კი ნაკლები, რადგან დანახარჯები და რისკები რამდენიმე სუბიექტზე ნაწილდება
- ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობით სტაბილური ბაზარი უფრო ხელმისაწვდომია
- გლეხების საქმიანობა წარიმართება მხოლოდ დაბალტექნოლოგიურ დონეზე. ძალთა გაერთიანებით კი შესაძლებელია ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, როგორც გაერთიანება, კრედიტუნარიანად ითვლება და საკრედიტო რესურსი მისთვის უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე განცალკევებული სუბიექტისთვის, გლეხისთვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში, 2013 წელს შეიქმნა სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდამჭერ პროგრამებს, მათ შორის:[30]

- თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის გზით, რომლის მიზანია თხილის წარმოების, გადამუშავებისა და

[29] საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ, მუხლი 11 - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრობა, მიღების თარიღი - 12.07.2013 წელი;
[30] სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, განხორციელებული და მიმდინარე პროგრამები.

რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა, თხილის თვითღირებულების შემცირება და მისი საექსპორტო პოტენციალის ზრდა;

- მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა, ასევე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კაპიტალური ინვესტირების განხორციელება და მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ნედლი რძის მიმღებ/გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირება, ადგილობრივი რძისა და რძის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივებში არსებული მსხვილფეხა საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესება;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვა, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა წარმოებისათვის დადგენილი აგროვადების დაცვა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ასევე მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების კუთხით, კერძოდ, ვენახების კადასტრის პროგრამა, ბაზრების დივერსიფიკაცია. ასევე ხორციელდება ღონისძიებები სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის, ლაბორატორიული კვლევებისა და დიაგნოსტიკის მიმართულებებით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ჩამოყალიბების და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობის კუთხით და სხვა.

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, კოოპერატივი არის ორმაგი სარგებელი ქვეყნისათვის. ერთი მხრივ იზრდება წარმოება, ხოლო მეორე მხრივ კი იქმნება ხელსაყრელი პირობები აგრო სექტორში დასაქმებული ადამიანებისთვის. საბოლოო

ჯამში, გაიზრდება წარმოებული პროდუქციის როგორც ხარისხი, ისე რაოდენობა და მწარმოებლები არა მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე იქნება ორიენტირებული, არამედ შეძლებს უცხოური ბაზრის დაკმაყოფილებას. კოოპერატივები ბევრად უფრო მოტივირებულნი არიან აამაღლონ პროდუქციის ხარისხი, დანერგონ ახალი ტექნოლოგიები და შეიძინონ თანამედროვე მანქანა-დანადგარები. ამის საშუალებას იძლევა ხარჯების გადანაწილება რაც სერიოზული შეღავათია მეწარმეთათვის.

საქართველოს კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე

იმისათვის რომ ქვეყნების ერთმანეთისგან განვასხვავოთ და გავმიჯნოთ თავიანთი შესაძლებლობებისა და როლის მიხედვით მსოფლიო ბაზარზე, არსებობს რამოდენიმე სახის გლობალური ინდექსი. ინდექსი სპეციალურად შექმნილი რაოდენობრივი მაჩვენებელია, რომელიც კავშირს, ინდიკატორების კომბინაციას აღნიშნავს და ამავე დროს განსაზღვრული ჰიპოთეზის შემოწმებისა და დასაბუთების საშუალებაა. ინდექსის მეშვეობით დგინდება დასაკვირვებელი ერთეულის მდგომარეობა სკალაზე. გლობალურ ინდექსებს ქმნიან მკვლევარები და საკვლევი ცენტრები, რათა ერთმანეთს შეადარონ მსოფლიოს ქვეყები განსაზღვრული ნიშნების - ეკონომიკის განვითარების ხარისხის, კონკურენტუნარიანობის დონის, კეთილდღეობის მიხედვით და სხვ.

არსებობს მსოფლიოში ორი დიდი ორგანიზაცია, რომლებიც ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ანალიზს ახორციელებენ, ესენია: ”მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (IMD)” და “მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (World Economic Forum)”. ისინი ყოველწლიურად გამოსცემენ ანგარიშს ” World Competitiveness Yearbook” და ”Global Competitiveness Report”, რომლებიც მშოფლიოში მიმდინარე ტენდენციების შესწავლასა და კონკურენტუნარიანობის ანალიზს ეძღვნება.

IMD ბევრად უფრო კომპლექსურად შეისწავლის ქვეყნის პოტენციალს და შესაძლებლობებს. გლობალურ კონკურენტუნარიანობის ინდექსში გათვალისწინებულია როგორ ეკონომიკური გარემოს ფუნქციონირება (მაკროეკონომიკა), ასევე ქვეყანაში ბიზნესის მართვის თავისებურებები (მიკროეკონომიკა). მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შორის შეისწავლება ინფლაცია და მისი ტემპები, მშპ-ს ზრდის ფაქტორები, ბიუჯეტის

დეფიციტი, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, ასევე განიხილება ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, იურიდიული და სოციალური პირობები. მიკროეკონომიკურ ფაქტორებში კი მოთხოვნების, მონათესავე დარგების, ბიზნესის მართვის პარამეტრების და კონკურენციის შესწავლა ხდება. აქედან გამომდინარე ცხადია ჩვენთვის მისი განხილვის მნიშვნელობაც, რადგან იდგექსი გაანგარიშებულია მრავალ მაჩვენებელზე დაყრდნობით, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყანაში არსებულ ზოგად ფონს რომელიც თავისთავად ზემოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე და საერთაშორისო არეალზე მის ასპარეზზე.

ქვეყანათა კონკურენტუნარიანობის რეიტინგი დგინდება ყოველწლიურად, როგორც საჯარო სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ასევე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევებით. აღნიშნული კვლევა ხორციელდება ქვეყანაში პარტნიორი ინსტიტუტების ხელშეწყობით - სამეცნიერო ინსტიტუტები და ბიზნეს-ორგანიზაციები. კვლევის ფარგლებში ხორციელდება იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ზოგადი ბიზნეს-კლიმატის შექმნისათვის და ამასთანავე მნიშვნელოვანია მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. სწორედ ამ ფაქტორების იდენტიფიცირებით, დაკვირვებით, შემდგომი შესწავლითა და ანალიზით ვლინდება ქვეყნის ძლიერი და სუსტი მხარეები, მუშავდება რეკომენდაციები და ტარდება რეფორმები, რათა გაუმჯობესდეს ასებული მდგომარეობა და ამაღლდეს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი მოიცავს ისეთ ინდიკატორებს როგორებიცაა საკუთრების უფლებები, სასამართლოს დამოუკიდებლობა, მთავრობის გამჭვირვალობა, გადასახადების დონე, ინფლაცია, დაწყებითი განათლების ხარისხი, სამუშაო ძალის კვალიფიკაცია და სხვა. თავისუფლად შეიძლება ითქვას რომ ეს ყველაფერი დიდ როლს თამაშობს ქვეყნის მწარმოებლურობაში, ზეგავლენას ახდენს წარმოებული პროდუქციის ხარისხზე და გვიქმნის ზოგად წარმოდგენას თუ რამდენად რაციონალურად იყენებს მის ხელთ არსებულ რესურსებს ზრდა-განვითარებისთვის, რათა კონკურენცია გაუწიოს დარჩენილ მსოფლიოს.

GCI რეიტინგში შემავალ ქვეყნებს აფასებს 4 მიმართულების მიხედვით, რომელიც აერთიანებს აერთიანებს 12 ძირითად მაჩვენებელს, ხოლო აღნიშნული მაჩვენებლები, თავის მხრივ, მოიცავს 98 კომპონენტს (კომპონენტები დაკორექტირდა და შემცირდა 2018 წელს).

GCI-ში შემავალი კომპონენტებია:

1. ინსტიტუტები
2. ინფრასტრუქტურა
3. მაკროეკონომიკური გარემო და მისი სტაბილურობა
4. ჯანდაცვა, პირველადი განათლება
5. უმაღლესი განათლება, ტრეინინგი
6. სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა
7. შრომითი ბაზრის ეფექტიანობა
8. საფინანსო ბაზრის განვითარება
9. ტექნოლოგიური მზაობა
10. ბაზრის მოცულობა
11. ბიზნესის განვითარება/დინამიურობა
12. ინოვაციური შესაძლებლობები

ჩამოთვლილი ფაქტორების გავლენა სხვადასხვა ქვეყნისათვის არათანაბარია. სწორედ ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი 12 ფაქტორი 3 ჯგუფად იყოფა, რომლებიც ქვეყნის განვიტარების სამ სტადიაზეა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. [31]

ეკონომიკის ზრდის სტადიები	**ფაქტორები**
ფაქტორ-მამოძრავებელი	<u>საბაზისო მოთხოვნები</u> - ინსტიტუტები - ინფრასტრუქტურა - მაკროეკონომიკური გარემო - ჯანდაცვა და საბაზისო განათლება

[31] ბარათაშვილი ე., გეჩბაია ბ., ღლონტი ვ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები. გვ. 31, თბ., 2012;

ეფექტიანობის მასტიმულირებელი	<u>ეფექტიანობის გამაძლიერებლები</u> - უმაღლესი და პროფესიული განათლება - პროდუქტის ბაზრის ეფექტიანობა - შრომის ბაზრის ეფექტიანობა - საფინანსო ბაზრის განვითარება - ტექნოლოგიური მზადყოფნა - ბაზრის ზომა
ინოვაციის მამოძრავებელი	<u>ინოვაციური ფაქტორები</u> - ინოვაციები - ბიზნესის განვითარება

საქართველო ჩამონათვალის მეორე ჯგუფში იკავებს ადგილს, ხოლო რაც შეეხება ქვეყანათა რეიტინგს, ის 2018 წელს 66-ე პოზიციაზე იმყოფება 140 ქვეყანას შორის. მისი სარეიტინგო ქულა 1,1 პუნქტით გაუმჯობესდა და 60,9 შეადგენს. ქვეყნის მდგომარეობა უმჯობესდება, თუმცა 2016 წლის 7 პუნქტიან ვარდნას მაინც ვერ აკომპენსირებს. უნდა ითქვას, რომ დღევანდელი მისი პოზიცია საკმაოდ დიდი დაწინაურებაა ქვეყნისთვის, თუ გადავავლებთ თვალს 2010 წლის მონაცემებს, როდესაც ის 90-ე ადგილზე იმყოფებოდა 133 ქვეყანას შორის.





წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

როგორც ჩანს, რეგიონის ქვეყნებიდან საქართველოზე უკეთესი პოზიცია აქვთ რუსეთს, ყაზახეთსა და თურქეთს. რაც შეეხება აზერბაიჯანს, ის ინდექსში 69-ე, სომხეთი – 70-ე, ხოლო უკრაინა – 83-ე პოზიციაზეა. World Economic Forum-ის მონაცემებით, 137 ქვეყნიდან ყველაზე კონკურენტუნარიანი ეკონომიკა აქვს შვეიცარიას, აშშ-ს, სინგაპურს, ნიდერლანდებს, გერმანიას, ჰონკონგს და შვედეთს.

თუ შეფასების 12 ძირითად მაჩვენებელს ჩავშლით 4 ძირითადი მიმართულების მიხედვით, მას შემდეგი სახე ექნება

განვიხილოთ ქვეყნის არსებული კონკურენტუნარიანობა თითოეული მიმართულების ჩაშლით: 2018 წელს საქართველოს მდგომარეობა 2017 წელთან შედარებით გაუმჯობესებულია ხელსაყრელი გარემოს (1,4 პუნქტით), ადამანური კაპიტალის (0,7 პუნქტით) და ინოვაციური ეკოსისტემის (2,7 პუნქტით) კუთხით, ხოლო შემცირებულია ბაზარი 0,1 პუნქტით.

უფრო დეტალურად, წინა წელთან შედარებით, 2018 წელს საქართველოს სარეიტინგო ქულა 12 ინდიკატორიდან შემდეგ 8 ინდიკატორში გაუმჯობესდა: ინსტიტუტები – გაუმჯობესდა 1,1 პუნქტით; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისება - გაუმჯობესდა 5 პუნქტით; ჯანდაცვა - გაუმჯობესდა 0,7 პუნქტით; უნარები - გაუმჯობესდა 1,1 პუნქტით; სასაქონლო ბაზარი - გაუმჯობესდა 0,7 პუნქტით; ბაზრის მოცულობა - გაუმჯობესდა 0,6 პუნქტით; ბიზნესის დინამიკა - გაუმჯობესდა 4,3 პუნქტით; ინოვაციური შესაძლებლობები - გაუმჯობესდა 1 პუნქტით.

საქართველოს სარეიტინგო ქულა შემცირდა შემდეგ ინდიკატორებში: ინფრასტრუქტურა – შემცირდა 0,1 პუნქტით; მაკროეკონომიკური სტაბილურობა -

შემცირდა 0,4 პუნქტით; შრომის ბაზარი - შემცირდა 0,3 პუნქტით; ფინანსური სისტემა - შემცირდა 1,4 პუნქტით.[32]

ყველა ზემოჩამოთვლილი ინდიკატორი ერთიანობაში განსაზღვრავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და პოტენციალს ჩაერთოს მსოფლიო ვაჭრობაში და დაიმკვიდროს მისი ადგილი გლობალურ ასპარეზზე. იმისთვის რომ გაიზარდოს მწარმოებლურობა, წარმოებული პროდუქციის ხარისხი აუცილებელია გაიზარდოს თითოეული კომპონენტი. ამ ეტაპზე საქართველოს წინ უსწრებს რეიტინგით ისეთ ქვეყნებს როგორებიცაა - სომხეთი (59,9), უკრაინა (57), მოლდოვა (55,5), ბოსნია-ჰერცეგოვინა (54,2) და მცირედით ჩამორჩება თურქეთს (61,6).

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიში მიუთითებს, რომ კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად აუცილებელია ლიბერალიზაცია და ქვეყანაში ბიზნესის წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. საქართველოში გარკვეული რეფორმები უკვე გატარდა ამ მიმართულებით - გამარტივდა საბაჟო ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემა, გადასახადების შემცირება და გაუქმება. მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯები შეინიშნება კორუფციასთან ბრძოლასთანაც, რაც მნიშვნელოვანია ქვეყანაში ბიზნესის წარმატებულად სამართავად. ორგანიზაცია ”საერთაშორისო გამჭვირვალობის” მიერ გამოქვეყნებული „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (CPI) 2018 წლის კვლევაში, რომელიც 180 ქვეყანას მოიცავს, საქართველოს 58 ქულა აქვს და 41-44-ე ადგილებს იყოფს ლატვიასთან, ესპანეთთან. [33]ამ მხრივ არსებული სიტუაცია ცალსახად უმჯობესდება (2017 წლის კვლევაში საქართველოს 56 ქულა ჰქონდა და 46-ე ადგილს იკავებდა) და საუკეთესოა აღმოსავლეთ ევროპის (ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოკლებით) და ცენტრალური აზიის რეგიონში.

გარდამავალი ქვეყნები ბევრად უფრო სწრაფი ტემპით აუმჯობესებენ ბიზნეს-გარემოს ეკონომიკის ზრდის სტიმულირების და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. საქართველოში ბიზნესის რეგულირების სფეროში აქტიური რეფორმები ბოლო წლებში დაიწყო. თავის მხრივ, საგარეო ვაჭრობაც მიეკუთვნება ეკონომიკური ზრდისა და ეროვნული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. 1999 წლიდან

[32] გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, World Economic Forum, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2018 წელი.

[33] კორუფციის აღქმის ინდექსი 2018, საერთაშორისო გამჭვირვალობა(საქართველო), თბილისი, 2018 წელი

დაიწყო საქართველოს სავაჭრო ბალანსის შემლებისდაგვარად გაუმჯობესება - იზრდებოდა ექსპორტი და მცირდებოდა იმპორტი. ქვეყანა ჩაერთო მსოფლიო მეურნეობაში, მაგრამ მეურნეობის აქტიურ სუბიექტად დღემდე ვერ ჩამოყალიბდა. ექსპორტის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად აუცილებელია, რომ რესურსები (წარმოების ძირითადი ფაქტორები და ტექნოლოგიები) მიმართული იყოს ისეთ მწარმოებლურ სექტორებში და ეფექტიან საწარმოებში, რომლებსაც გრძელვადიან პერიოდში შეუძიათ იყონ კონკურენტუნარიანნი. ასევე მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე, რათა დავამყაროთ მჭიდრო კავშირი გლობალურ მწარმოებლებთან, გავიზიაროთ მათი გამოცდილება და დაინერგოს ახალი სტანდარტები და ტექნოლოგიები.

გარდა ჩამოთვლილისა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად არის პროდუქციის დივესრიფიკაცია, რადგან ამ შემთხვევაში ბევრად უფრო მოქნილი იქნება მოთხოვნის ცვლილებებთან და ნაკლებად დაემუქრება საფრთხე სამამულო წარმოებას მსოფლიო ბაზარზე. ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება საბაზრო პირობებში. მწარმოებლის წარმატებას ბაზარზე განსზღვრავს პროდუქციის ხარისხი, ამიტომაც აუცილებელია ხარისხის როლის გაძლიერება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში. დღეს საქართველოში, როგორც შიდა ასევე გარე ბაზარზე მომხმარებლისათვის ბრძოლა მოითხოვს ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოება იძულებულია გამოუშვას პროდუქცია, რომელზეც არის მოთხოვნა. საქართველოში ჩნდება აუცილებლობა პროდუქციის ხარისხსა და კონკურენტუნარიანობის პრობლემისადმი ახალი მიდგომების ძიებისა. ამ პრობლემის გადაჭრა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე, რაც განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ხარისხის მართვის პროგრამაში. აგრეთვე, აღსანიშნავია მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხი. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ საქართველოს შიდა სახელმწიფოებრივი ინტერესები პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის სფეროში უნდა ეთანხმებოდეს სხვა ქვეყნების ინტერესებსა და მსოფლიოს საზოგადოებას ერთიანობაში. ასევე მნიშვნელოვანია სტანდარტიზაციისა და სერთიფიკაციის როლი ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების სისტემაში.

დასკვნა

საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიური ჩართულობა და ექსპორტის მაჩვენებლის ზრდა სერიოზული გამოწვევაა სააქართველოსთვის, რომლის მიღწევის შემთხვევაშიც ქვეყანას მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება შეუძლია როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური თვალსაზრისით, რაც, მთლიანობაში, დადებითად აისახება ქვეყნის საერთო კეთილდღეობაზე.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო სერიოზული სტრუქტურული გარდაქმნები, რომლებიც დღემდე გრძელდება - შეიცვალა და განახლდა კანონმდებლობა, ქვეყანა გაწევრიანდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, აშშ-სთან, კანადასთან, ჩინეთთან, იაპონიასთან და შვეიცარიასთან დაიდო ორმხრივი ხელშეკრულებები, თავისუფლად ვვარჭობთ დსთ-ს ქვეყნებთან და რაც ყველაზე მთავარია 2016 წელს ძალაში შევიდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რამაც კიდევ ასობით მილიონიანი ბაზრის ათვისების შესაძლებლობა მოგვცა. ევროპის ბაზარი ახალი მიმართულება და გამოწვევაა ქართველი ექსპორტიორებისათვის. როგორც უცხოური ასევე ადგილობრივი ბაზრების კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ წამოქმნილი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსაყენებლად აუცილებელია წარმოების სწორი დაგეგმვა, ეფექტიანი მენეჯმენტი, ხარისხის კონტროლი და მოცულობის უზრუნველყოფა, რათა საქართველომ შეძლოს ევროპის ახალი ბაზრებზე შეღწევა, თავის დამკვიდრება და შემდგომ უკვე ექსპორტის მაჩვენებლის აქტიური ზრდა.

ჩატარებული 2005-2018 წლების ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური ანალიზი იძლევა საქართველოს სამომავლო ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო სხვადასხვა საკითხების იდენტიფიცირების საშუალებას. კვლევამ აჩვენა, რომ ქვეყანას გარდა არსებული სასაქონლო ჯგუფებისა, ასევე შეუძლია წარმოება განავითაროს ახალი მიმართულებებითაც. საქართველოში წარმოდგენილია არსებული ნიადაგის 54 ტიპიდან 49 და სახეზეა 12 სხვადასხვა კლიმატური ზონა, რის გამოც მრავალფეროვანი პროდუქტების კალათის წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობები გააჩნია. ამ იდეის განსახორციელებლად გარკვეულ პრობლემებს ვაწყდებით ბაზრებსა თუ დარგებში: სურსათის უვნებლობა, ლაბორატორიების არარსებობა, კონკრეტულ დარგში ცოდნისა

და სპეციალისტების სიმცირე/არარსებობა, წარმოების უზრუნველყოფის შესაძლებლობისა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის პრობლემა.

ზემოჩამოთვლილი ხელშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად აუცილებელია ამ მიმართულებებით გაკვეული რეფორმების გატარება, რაშიც მნიშვნელოვანია უცხოური გამოცდილების შესწავლა-გაზიარება და კერძო და საჯარო სექტორის აქტიური თანამშრომლობა. გარდა ამისა, კვლევაში რეკომენდაციის სახით შეთავაზებულია დარგებში კოოპერატივების ჩამოყალიბებაც, რათა მწარმოებლებს შორის გადანაწილდეს ხარჯები, რაც თავის მხრივ გაამარტივებს დარგებში ტექნოლოგიების დანერგვის პროცესს, შედეგად კი მნშვნელოვნად ამაღლდება წარმოების ეფექტიანობა.

კვლევის ფარგლებში ასევე განვიხილეთ საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის ფუნქცია. დადასტურდა, რომ მას ამ კუთხით დიდი შესაძლებლობები აქვს, თუმცა იმისათვის რომ ქვეყანამ დაიკავოს საკუთარი გეოეკონომიკური სტრატეგიის შესაფერისი ადგილი აუცილებელია მოდერნიზირებული საკომუნიკაციო სისტემების დანერგვა, დახვეწილი სატარიფო, სამართლებრივი და საბანკო სისტემების შემუშავება, უნდა განვითარდეს შემდეგი დარგები: ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაცია, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და ა.შ.

ჩემოთვლილი დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე რეალურად მიგვაჩნია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება საერთაშორისო ბაზარზე. ამ მხრივ ყურადღება გავამახვილეთ GCI–ინდექსზე, შევისწავლეთ მისი კომპონენტები და საქართველოს მაჩვენებლები თითეულ მათგანში. ამ გზით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ის კონკრეტული მიმართულებები, რა მხრივაც უნდა იმუშაოს მთავრობამ, შეიმუშაოს რეფორმები და განახორციელოს ცვლილებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., გეჩბაია ბ., ღლონტი ვ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები. თბ., 2012;
2. ბახტაძე ლ., გარდამავალი ხანის ეკონომიკა, თბილისი, 2006 წელი;
3. ბიძინაშვილი თ., საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები მსოფლიომეურნეობრივი კავშირების გლობალიზაციის პირობებში, თბილისი, 2016 წელი;
4. ლეკაშვილი ე., საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები, თბილისი, თსუ, 2012 წელი;
5. თავართქილაძე მ., ნაციონალური სავაჭრო რეჟიმები GSP/GSP+ სქემის ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები, თბილისი, 2016 წელი;
6. მესხია ი., „საერთაშორისო ვაჭრობა“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011
7. მელიქიძე, ვ., მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბილისი, გამომცემლობა "სოციალურ მეცნიერებათ ცენტრი", 2016 წელი;
8. ნანობაშვილი გ., საქართველოს საგარეო ვაჭრობის გაუმჯობესების შესაძლებლობები, ”საქართველოს ეკონომიკის განვითარების ახალი ეტაპი. პრობლემები და პერსპექტივები”, თბილისი, 2005 წელი;
9. ჟვანია ნ., საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია, თბილისი, 2006 წელი;
10. ღაღანიძე გ., საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2014 წელი;
11. ჯანაშია ე., თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, 2009 წელი;
12. ძებისაური ლ., საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა, თბილისი 2012 წელი;
13. ჯინჭველეიშვილი ქ., და კენჭაშვილი ა., გლობალიზაცია პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჭრილში, თბილისი 2008 წელი;

14. საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, თბილისი, 2005 წელი;
15. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA);
16. ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცევლი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, თბილისი, 2014 წელი;
17. საქართველო-ევროკავშირის შესახებ ასოცირების შესახებ შეთანხმება;
18. "სტრატეგია 2020", საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო,
19. საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის შესრულება (სამოქალაქო საზოგადოების შეფასება), ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო", თბილისი, დეკემბერი 2018წელი;
20. DCFTA-ს საკომუნიკაციო სახელმძღვანელო საქართველოსთვის, www.georgiadcfta.ge
21. სატრანსპორტო-ლოჯისტიკური დარგი საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები, ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი, კვლევა, თბილისი, დეკემბერი 2017 წელი;
22. საქართველოს საექსპორტო პოლიტიკის შედეგები (ასოცირების დღის წესრიგის სამოქმედო გეგმის ექსპორტის ხელშეწყობის კომპონენტის შეფასება), ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, კვლევა, თბილისი 2019 წელი;
23. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესახებ გზამკვლევი, თბილისი, თებერვალი 2014 წელი.
24. ქართული თხილი და ევროკავშირის ბაზარი, Europe for Georgia, თბილისი 2014 წელი;
25. www.geostat.ge, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი;
26. www.economy.ge, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი;
27. www.wto.org, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალური ვებ-გვერდი;

28. www.weforum.org, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ოფიციალური ვებ-გვერდი;
29. Krugman Paul Robin, Rethinking International Trade, Cambridge, 2015;
30. International Trade: Evolution in the Thought and Analysis of Wassily Leontief, August 19, 2015;
31. The Global Competitiveness Report 2006,2007, … , 2018. World Economic Forum
32. Michael Emerson, An Introduction to the Association Agrements between EU and Georgia, Moldova, Ukraine, 2015